საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 16 | სამშაბათი, 25 დეკემბერი, 1990 | ფასი 3 კაპიკი.

ხელისუფლების დერეფნებში

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1990 წლის 27 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზი;

საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება და 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსი;

რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის თაობაზე;

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების კანონი;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულება;

სასამართლო რეფორმა;

საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი;

საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოყენების დებულება;

საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების დებულება;

რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანა (სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით);

სხვადასხვა.

შეხვედრა უნგრეთის წარმომადგენლებთან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია შეხვდა უნგრეთის საგარეო ვაჭრობის საწარმოს წარმომადგენელს ანდორ პაკსა და უნგრეთის სავაჭრო წარმომადგენელს საქართველოში ეგონ ჩანაკს.

გაიმართა კონსტრუქციული საუბარი, რომელიც შეეხებოდა ორი ქვეყნის თანამშრომლობის პერსპექტივებს.

სს „საქართველო“

მთავრობის მოამბე

ოლიმპიური კომიტეტის ახალი სტატუსი

საკავშირო მთავრობის დადგენილებით „საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესასრულებლად სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი გამოყვანილია სსრ კავშირის სპორტსახკომის გამგეობიდან. ეს შეესაბამება მისი საქმიანობის საზოგადოებრივ ხასიათსა და ოლიმპიური ქარტიის პრინციპებს.

სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტს უფლება ენიჭება, კერძოდ, უშუალოდ განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა თავისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შექმნას ვალუტის ფონდი, რომლის სახსრები მოხმარდება საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის განვითარებას, ოლიმპიური ასპარეზობებისათვის სპორტსმენთა მომზადებასა და მისი წესდებით გათვალისწინებულ სხვა მიზნებს.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის — საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება უზენაესი საბჭოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობის დღეს და მთავრდება ახალი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის დღეს ან ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 3. უზენაესი საბჭოს წევრის სადეპუტატო მოწმობა და სამკერდე ნიშანი

უზენაესი საბჭოს წევრი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში სარგებლობს სადეპუტატო მოწმობითა და სამკერდე ნიშნით. მოწმობისა და სამკერდე ნიშნის დებულებებს, ნიმუშებსა და აღწერილობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 4. უზენაესი საბჭოს წევრის მოვალეობათა შეთავსება სხვა საქმიანობასთან

უზენაესი საბჭოს წევრი, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით. გამონაკლისი არ დაიშვება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის, უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და უზენაესი საბჭოს სხვა მუდმივი ორგანოების ხელმძღვანელებისათვის.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, უფლება ეძლევა სადეპუტატო საქმიანობას შეუთავსოს სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობა 0,25 ან 0,5 საშტატო განაკვეთზე.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც ეწევა შემოქმედებით საქმიანობას, უხელფასო გაცდენის დროს ეძლევა ხელფასი უზენაესი საბჭოს იმ წევრის თანაბრად, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

მუხლი 5. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებას ვადამდე წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შემდეგ შემთხვევებში:

თუ უზენაესი საბჭოს წევრი მოიხსნის სადეპუტატო უფლებამოსილებას;

უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის ძალაში შესვლისას;

უზენაესი საბჭოს წევრისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევისას;

იმ შემთხვევაში, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრს ისეთი თანამდებობა უკავია, რომლის დაკავებაც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებასთან;

თუ უზენაესი საბჭოს წევრი უხეშად დაარღვევს სადეპუტატო ეთიკის ნორმებს.

მუხლი 6. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერება

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებითი შეჩერების უფლება აქვს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში და სესიის მიმდინარეობისას უზენაესი საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, თუ ამ კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ შემოტანილია წარდგინება;

2. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უზენაესი საბჭოს წევრის თანხმობით, თუ იგი იმყოფება ხანგრძლივ მივლინებაში, საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას ან სხვა შემთხვევაში, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრს დროებით არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება;

3. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისიის წარდგინებით იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი საბჭოს წევრი არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ესწრება უზენაესი საბჭოს სხდომებს ან პრაქტიკულად არ მონაწილეობს უზენაესი საბჭოს ან მისი ორგანოების მუშაობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის კანონების, უზენაესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების მიღებისას უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობაში არ შედიან უზენაესი საბჭოს ის წევრები, რომელთა უფლებამოსილება შეწყვეტილია ან დროებითაა შეჩერებული.

II. უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობა უზენაეს საბჭოსა და მის ორგანოებში

მუხლი 7. უზენაესი საბჭოს წევრის მონაწილეობა უზენაესი საბჭოს სესიებში

უზენაესი საბჭოს წევრები თავისუფალი განსჯის საფუძველზე სესიებზე იხილავენ და წყვეტენ ყველა იმ საკითხს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის განმგებლობას განეკუთვნება.

უზენაესი საბჭოს წევრი მოვალეა ესწრებოდეს სესიებს; თუ მას არა აქვს სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, ეს უნდა აცნობოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 8. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე

უზენაესი საბჭოს წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება ყველა იმ საკითხზე, რომლებიც განიხილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე.

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს უზენაესი საბჭოს ორგანოებში;

ბ) გამოთქვას აზრი უზენაესი საბჭოს შესაქმნელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს უზენაესი საბჭო;

გ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებანი უზენაესი საბჭოს სესიის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვის წესისა და არსის გამო;

დ) შეიტანოს წინადადებანი უზენაესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ყოველი ორგანოს ან თანამდებობის პირის ანგარიშისა თუ ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

ე) დასვას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თუ მისი ცალკეული წევრისადმი ნდობის საკითხი;

ვ) მონაწილეობდეს კამათში, შეკითხვის წესით დააყენოს საკითხები, ჰკითხოს მომხსენებლებს, აგრეთვე სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს პასუხი და მისცეს მას შეფასება;

ზ) შეიტანოს წინადადებები კანონების, დადგენილებების, სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტებში შესწორებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

თ) გაეცნოს თავისი გამოსვლების ტექსტებს უზენაესი საბჭოს და მისი ორგანოების სხდომათა სტენოგრამებსა და ოქმებში გამოქვეყნებამდე, აგრეთვე მიიღოს გამოსვლების ტექსტები, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას;

ი) გადასცეს სხდომის თავმჯდომარეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები უზენაესი საბჭოს სესიაზე განსახილველი საკითხის გამო.

კ) სხდომაზე დასწრების შემთხვევაში არ მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში (მაგრამ აუცილებლად უნდა გატარდეს რეგისტრაციაში).

მუხლი 9. უზენაესი საბჭოს წევრის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

უზენაესი საბჭოს წევრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, ანუ უფლება შეიტანოს სათანადო წესით ჩამოყალიბებული კანონპროექტი ან წინადადება კონკრეტული კანონის მიღებასთან თუ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა განიხილოს უზენაესმა საბჭომ..

მუხლი 10. უზენაესი საბჭოს წევრის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება

უზენაესი საბჭოს წევრს ან წევრთა ჯგუფს უფლება აქვს შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის კანონების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებისა და სხვა აქტების დარღვევის გამო, აგრეთვე საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა საკითხები.

უზენაესი საბჭოს წევრს შეუძლია შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების წინაშე.

შეკითხვების წესით საკითხს დეპუტატი აყენებს წერილობითი ფორმით.

უზენაესი საბჭოს წევრი ან მისი თხოვნით უზენაესი საბჭოს სესიის თავმჯდომარე სესიას აცნობს შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს.

სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის წინაშეც შეკითხვის წესით დააყენეს საკითხი, ვალდებულია გასცეს ოფიციალური პასუხი სესიის სხდომაზე არა უგვიანეს სამი დღის ვადისა ან უზენაესი საბჭოს მიერ დაწესებულ სხვა ვადაში. უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს შეაფასოს შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე თანამდებობის პირის პასუხი. შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო განხილვის შედეგების მიხედვით მიიღება დადგენილება.

მუხლი 11. უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ შეტანილი წინადადებებისა და შენიშვნების განხილვა

უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ წერილობითი ფორმით თავმჯდომარისათვის გადაცემულ წინადადებებსა და შენიშვნებს განიხილავენ უზენაესი საბჭო, მისი მუდმივი კომისია (ან კომისიები), ანდა უგზავნიან შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს განსახილველად.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, აგრეთვე თანამდებობის პირნი, რომლებსაც გაეგზავნათ უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ შეტანილი წინადადებები და შენიშვნები, მოვალენი არიან უშუალოდ განიხილონ ისინი არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში და შედეგები აცნობონ უშუალოდ უზენაესი საბჭოს წევრს, აგრეთვე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

უზენაესი საბჭოს წევრის წინადადებებისა და შენიშვნების განხილვასა და რეალიზაციის კონტროლს უწევს შესაბამისი მუდმივი კომისია.

მუხლი 12. უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობა უზენაესი საბჭოს ორგანოებში.

უზენაესი საბჭოს ორგანოებში არჩეული წევრი მოვალეა მონაწილეობდეს მათ მუშაობაში.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც არ შედის უზენაესი საბჭოს ორგანოების შემადგენლობაში, უფლება აქვს მონაწილეობდეს მათ სხდომებში, შეიტანოს წინადადებანი, მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებათა მიღებაში სათათბირო ხმის უფლებით.

III. უზენაესი საბჭოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან

მუხლი 13. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება საარჩევნო ოლქში ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მის დამსახელებელ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მუშაობასთან დაკავშირებით

საარჩევნო ოლქში ან შესაბამის პოლიტიკურ ორგანიზაციაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოებში ნებისმიერი საკითხის განხილვაში, რომლებიც ეხება ამომრჩევლებისა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა წევრების ინტერესებს;

ბ) კონტროლი გაუწიოს მის მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დაეხმარონ უზენაესი საბჭოს წევრს მის საკონტროლო საქმიანობაში;

გ) მოაწყოს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა კრებები, შრომით კოლექტივებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ადგილობრივ ორგანოებთან შეხვედრები.

მუხლი 14. უზენაესი საბჭოს წევრის მიერ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა

უზენაესი საბჭოს წევრი კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს მასთან შემოსულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, ახორციელებს ღონისძიებებს მათი სწორი და დროული გადაწყვეტისათვის, იღებს მოქალაქეებს, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, შეაქვს წინადადებანი ხელისუფლების შესაბამის ცენტრალურ თუ ადგილობრივ ორგანოებში, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

მუხლი 15. უზენაესი საბჭოს წევრის ანგარიში ამომრჩეველთა ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წინაშე

უზენაესი საბჭოს წევრი მოვალეა წელიწადში ერთხელ მაინც ჩააბაროს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ ოლქის ამომრჩევლებს ან იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა.

მუხლი 16. უზენაესი საბჭოს წევრისათვის ხელშეწყობა ამომრჩევლებთან ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრების მოწყობაში

უზენაესი საბჭოს წევრს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს საჭირო პირობები ანგარიშგების და ოლქის ამომრჩევლებთან ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრების მოსაწყობად. მისი თხოვნით ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაცია ადმინისტრაცია ვალდებულია გამოყოს შენობა, აცნობოს მოქალაქეებს, როდის და სად ეწყობა დეპუტატის ანგარიშგება თუ მისი შეხვედრები ამომრჩევლებთან.

IV. უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის გარანტიები

მუხლი 17. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების რეალიზაციის გარანტიები

უზენაესი საბჭოს წევრის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას უზრუნველყოფს:

ა) უზენაესი საბჭოს სესიაზე საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეტანილი წინადადების სავალდებულო განხილვა;

ბ) უზენაესი საბჭოს წევრის მიერ შეტანილი წინადადების, აგრეთვე კანონის ყველა შესწორების გამო სავალდებულო კენჭისყრა.

მუხლი 18. უზენაესი საბჭოს წევრის უფლება — დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული თანამდებობის პირთა მიერ

სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს წევრი სარგებლობს უფლებით — დაუყოვნებლივ მიიღონ თანამდებობის პირებმა, აგრეთვე უფლებით — შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოში, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

მუხლი 19. უზენაესი საბჭოს წევრის მიერ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უზრუნველყოფს უზენაესი საბჭოს წევრს უზენაესი საბჭოს დოკუმენტებით, აგრეთვე მთავრობის, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ ოფიციალურად გავრცელებული საინფორმაციო და საცნობარო მასალებით.

ხელისუფლების და მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირნი მოვალენი არიან უზენაესი საბჭოს წევრი უზრუნველყონ სპეციალისტთა კონსულტაციებით დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დაუყოვნებლივ მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია, საშუალება მისცენ ისარგებლოს პირგადასაღებ-გასამრავლებელი და გამოთვლითი ტექნიკით.

მუხლი 20. უზენაესი საბჭოს წევრისათვის იურიდიული დახმარების გაწევა

ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამეცნიერო, იურიდიულ დაწესებულებათა, სასწავლებელთა ადმინისტრაცია, სამართალდაცვითი ორგანოები უზენაესი საბჭოს წევრს ეხმარებიან სადეპუტატო საქმიანობისას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში.

მუხლი 21. თანამდებობის პირთა მოვალეობა — განიხილავდნენ უზენაესი საბჭოს წევრთა მიმართვებს

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს მიმართოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, თანამდებობის პირს დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობდეს აღძრულ საკითხთა განხილვაში. აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან უზენაესი საბჭოს წევრს დაუყოვნებლივ გასცენ პასუხი მის მიმართვაზე, ხოლო შესაბამისი საკითხის დამატებითი შესწავლის ან შემოწმების საჭიროების შემთხვევაში — არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

მუხლი 22. უზენაესი საბჭოს წევრის უფლება — მოითხოვოს კანონიერების დარღვევის აღმოფხვრა

უზენაესი საბჭოს წევრს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, უფლება აქვს ადგილზე მოითხოვოს კანონიერების დარღვევის შეწყვეტა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს აღკვეთონ კანონის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევები;

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირნი, რომლებსაც ეხებათ უზენაესი საბჭოს წევრის მოთხოვნა, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ დარღვევების აღმოფხვრის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ბრალეულთა პასუხისგებაში მიცემის ღონისძიებანი, ამასთან შემდგომში აცნობონ ეს უზენაესი საბჭოს წევრს.

მუხლი 23. სადეპუტატო საქმიანობის მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფა

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, ხელფასი აუნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ხელფასის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

V. უზენაესი საბჭოს წევრის შრომის უფლებების დაცვა. უზენაესი საბჭოს წევრის ხელშეუხებლობა

მუხლი 24. უზენაესი საბჭოს წევრის შრომის უფლებების გარანტიები

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, უნარჩუნდება სამუშაო ადგილი უზენაესი საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულების მთელ პერიოდში.

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ მას ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ასეთი არ არის, სხვა მისი ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა) ამავე ან, მუშაკის თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში თუ ორგანიზაციაში.

უზენაესი საბჭოს წევრი არ შეიძლება დაითხოვონ სამუშაოდან ადმინისტრაციის ინიციატივით, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან სხვა კოოპერაციული ორგანიზაციიდან, სასწავლებლიდან, ანდა გადაიყვანონ დისციპლინური დასჯის წესით ნაკლებხელფასიან სამუშაოზე (დააქვეითონ თანამდებობით) უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

უზენაეს საბჭოსა და მის ორგანოებში დეპუტატის მუშაობის დრო ჩაითვლება სპეციალობით მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟად.

უზენაესი საბჭოს წევრად არჩევა არ იწვევს შემოქმედებით კავშირებში და თავისუფალ პროფესიულ გაერთიანებებში წევრობის შეწყვეტას.

მუხლი 25. უზენაესი საბჭოს წევრის ხელშეუხებლობა

უზენაესი საბჭოს წევრი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა და სხდომებს შუა პერიოდში — უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უზენაესი საბჭოს წევრს დააკავებენ დანაშაულის ჩადენის ადგილას. ასეთ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ ფაქტს უზენაეს საბჭოს.

უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

უზენაესი საბჭოს წევრი ვალდებული არ არის მოწმის სახით დაკითხვის დროს გაახმაუროს ცნობები, რომლებიც სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით მიიღო, აგრეთვე მიუთითოს ამ ცნობების მიღების წყაროები.

არ დაიშვება როგორც უზენაესი საბჭოს წევრის იძულებით მიყვანა, ასევე მისი პირადი ნივთების, ბარგის, ტრანსპორტის, საცხოვრებელი ან სამუშაო სადგომების შემოწმება.

მუხლი 26. უზენაესი საბჭოს წევრის პასუხისგებაში მიცემაზე თანხმობის მიღების წესი

უზენაესი საბჭოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრების ან სასამართლო წესით დადებული ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებისათვის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებსა და სხდომებს შორის პერიოდში უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის მისაღებად საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უზენაესი საბჭოს წევრისათვის ბრალდების წაყენების, დაპატიმრების სანქციის გაცემის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლოში გაგზავნის წინ უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინება.

უზენაესი საბჭო წარდგინებას განიხილავს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს შეიძლება გამოეთხოვოს დამატებითი მასალები. საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს უზენაესი საბჭოს წევრს, რომლის გამო შეტანილია წარდგინება. უზენაესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და სამი დღის ვადაში აცნობებს ამას საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

უზენაეს საბჭოს შეუძლია გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი საქმის წარმოების დამთავრებიდან სამი დღის ვადაში ვალდებულია აცნობოს უზენაეს საბჭოს საქმის გამოძიების ან განხილვის შედეგები.

მუხლი 27. უზენაესი საბჭოს წევრის თანაშემწის შესახებ

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს საზოგადოებრივ საწყისებზე აიყვანოს თანაშემწეები.

მაჟორიტარული წესით არჩეულ უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს აიყვანოს რწმუნებული, რომლის შრომა ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 28. თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის

სახელმწიფო უზრუნველყოფს უზენაესი საბჭოს წევრისთვის მისი უფლებამოსილების დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობებს. იცავს მის უფლებებს, სახელსა და ღირსებას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს უზენაესი საბჭოს წევრის წინაშე, ხელს უშლიან მის მუშაობას, აწვდიან აშკარად მცდარ ინფორმაციას, არღვევენ სადეპუტატო საქმიანობის გარანტიებს, პასუხისმგებლობა ეკისრებათ კანონის შესაბამისად.

საზოგადოება

„არა ცილისწამო...“

მეოცე ასწლეული იწურება...

ასწლეული, რომელმაც საქართველოს ლამის ყულფში გააყოფინა თავი.

ახლა საქართველო გადათელილ ბალახსა ჰგავს, ოქროს წვიმების შემდეგ სულს რომ იბრუნებს.

ახლა მის თვალწინ იმედის კვარი ბჟუტავს.

ახლა მეტი არ უნდა ქართველს: ახლაც რომ არა, — ფიქრობს იგი, — ახლაც რომ არა!!! და შეიძლება ხელი კარგახნით ჩაიქნიოს, მდინარებას თავდალმა დაუყვეს...

დაიღალა,
დაიღალა,
დაიღალა და იმიტომ!

●

ქართველი კაცის ფსიქიკა წვეთი-წვეთ მოიწამლა. სიცრუისა და სიყალბის ზღვა ეკრა. ნაპირზე გამოსვლა უნდა, მაგრამ ნაპირამდე შორია, ჯერ მხოლოდ ამოუყვინთავს.

გამოვა კი?

გამოვა!

●

სადღაც წამიკითხავს: შენ ადამიანი ხარ და ეს ყველაფერს ნიშნავს ჩემთვის.

ტანჯულ ქართველ კაცს დღეს განსაკუთრებული მზრუნველობა, სითბო და მოფერება სჭირდება, მის ფსიქიკას და მაჯას, — კარგი მკურნალი და შემტყვებარი.

ეს თუ იქნა, ყველაფერს ეშველება.

ეს თუ იქნა, მთას დასძრავს იგი.

ჩაშრეტილ სანთლებს აანთებს და წკვარამს გაინათებს.

●

დღეს მას არ სჭირდება ლუკმაპურისათვის, საკუთარი სახის დაკარგვის ფასად ბოძებული ფარვანის სიცოცხლე... სვე-ტკბილი ცხოვრების მოლოდინში ფერხთით არავის გაუგორდება. დღეს ის არც გრიმს გაიკეთებს და არც პარიკს. დღეს მას სურვილი აქვს, უწინარესად თავად იყოს მართალი — საკუთარ სულში ეძებს სიმართლეს, ეძებს და... იპოვის! იპოვის და ბედნიერი იქნება, ბედნიერი იქნება და იცოცხლებს საქართველო!

ამიტომ და ამისთვის გამოერიდა სატანას.

ამიტომ და ამისათვის, როგორც სულმნათი ილია ამბობს, მზად არის სულისათვის ხორცი დასთმოს. დასთმოს და აზეიმოს სიწმინდე, სიკეთე, უმანკოება, სათნოება, სამართალი.

მთავარია, რომ ახლა მაინც გაუმართლდეს!

წმინდა წყალი სანავეშივე არ აიმღვრეს, ძმამ ძმას ყისტი არ მოუდოს, ერთი რომელიმეს შეცდომა საერთო ბედისწერის მაუწყებელი არ გამოდგეს.

●

ხშირად გაიგონებთ: ნახევარი საქართველო ჯერ კიდევ არ არისო გამოღვიძებული.

ტყუილია!

დიდ-პატარას ღვიძავს დღეს;

დიდ-პატარა ფსიქოლოგიურად შემზადებულია იმისათვის, რომ ძველებურად ცხოვრება არ შეიძლება; რომ თუ ხარ კაცი, კაცურად იცხოვრე, გამოადექი შენს ტანჯულ ქვეყანას!

●

ხალხმა იცის, რომ ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით, სოფელი არ აშენდება, რომ თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა არაა ია-ვარდით ფენილი, რომ ხვალ უფრო მძიმე იქნება გოლგოთის აღმართი, მაგრამ ქრისტეს გვირგვინის ერთ სპეკალს დღეს ის ათას ბრჭყვიალა საგანში გამოარჩევს.

ეს მან დაამტკიცა...

მთავარი სიმშვიდეა...

მტრისას, გულღვარძლით სავსე, გათითოკაცებული ქვეყანა!

ჩვენს დამაწყევარს, ერთი კაცის იმედად დარჩენილი მამული!

რაც არ უნდა ბრძენი და გულთმისანი იყოს იგი,
რაც არ უნდა გულგოროზი და მოუდრეკელი,
რაც არ უნდა მადლიანი,
რაც არ უნდა სავსე მზითა და სინათლით.

„არა ცილისწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“... „გიყვარდეს მოყვასი შენი როგორც თავი შენი“... გვასწავლის სახარება. ჩვენც ჩვენი ისტორიული მისიის აღსრულებაში უნდა დავიფერფლოთ; ცამდე მაღალი ცხოველი სვეტი უნდა აღვუგოთ ნათელს, ტახტზე ავაბრძანოთ სიყვარულისა და სათნოების, სიწმინდისა და სიფაქიზის მონარქი. დავდგეთ მათ გვერდით, რომლებიც ბურჯად უდგანან დეფორმირებული ქართული ცნობიერების აღდგენას, მათ გვერდით, მისთვისაც უწინარესი საფიცარი საქართველოა.

●

დარდსა და ნაღველს რა გაუქარვებს ქართველს.

თმაზე მრავალ სატკივართან ერთად სიმცირეს მისტიროდა და მისტირის.

და ეს კარგად დავიმახსოვროთ, გულში სამსჭვალივით გავიყაროთ და გავიტანოთ ერთმანეთი, გავიტანოთ!

ახლა საქართველო გადათელილ ბალახსა ჰგავს, ოქროს წვიმების შემდეგ სულს რომ იბრუნებს.

მთავარი სიმშვიდეა!

სიმშვიდე და სიბრძნე ღვთაებრივი!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ბადრი ცირამუა

ხელისუფლების დერეფნებში

ეროვნული მოძრაობის ისტორიისათვის

როგორც საზოგადოებისათვისაა ცნობილი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეიქმნა ყოფილ პოლიტიკურ პატიმრებთან მუშაობის ქვეკომისია, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ალეკო მელაძე. მან საკუთარ თავზე გამოსცადა ტოტალიტარული რეჟიმის უსამართლობა.

დაიბადა თბილისში, 1926 წელს. მშობლები ოცდაათიანი წლების რეპრესიებს ემსხვერპლნენ. 1945 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, დააპატიმრეს 1948 წელს, როგორც „ანტისაბჭოთა, წვრილ-ბურჟუაზიული, ნაციონალისტური, სტუდენტური, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის“ წევრი; საბჭოური უსამართლო სამართლისაგან ასეთი „ტიტულების“ დარიგება რომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ყველასათვის ცნობილია. ერთი კია, მოვლენებისა და პიროვნების მოღვაწეობის ასეთმა შეფასებებმა თავგზა აგვირია და ამის გამო ერთგვარად თითქმის დავკარგეთ ის ძარღვი, რომელიც აერთებდა თანამედროვე ეროვნულ მოძრაობას ოციანი წლების მოძრაობასთან.

ზემოთ ნახსენები ქვეკომისია სწორედ ამ ვაკუუმის შევსებით იწყებს იმ სამუშაოს, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შექმნა ჰქვია. ამდენად, საუბარი ბატონ ალეკო მელაძესთან, სწორედ ამ პრობლემას ეხება.

უპირველესად რა მიზნები აქვს დასახული თქვენს კომისიას?

ჩვენი მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შედგენა, მაგრამ, სამწუხაროდ, დოკუმენტების მიღება ჯერჯერობით არ ხერხდება. ეს პრობლემა, ვფიქრობთ, მალე გადაწყდება, მანამდე კი, გვინდა ხალხის მეხსიერებაში დარჩენილი ფაქტების შეგროვება და აღწერა. უეჭველია, ასეთი გადმოცემები ისევე საინტერესო იქნება, როგორც დოკუმენტებში დაცული მასალები. ამას, ერთი მაგალითით დავადასტურებთ — როდესაც 1924 წლის აჯანყება მარცხდებოდა, უკანასკნელ ძლიერ კერად გურია იყო შემორჩენილი. პატრიოტთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს ათარბეგოვი და მიასნიკოვი. რაღა თქმა უნდა, ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცოდა, რომ დამსჯელი ოპერაცია მათი ხელმძღვანელობით, ალიხანოვ-ავარსკის სიმხეცეს გადააჭარბებდა. ამიტომ, როგორც ამბობენ, გაბედულებმა თხოვეს მფრინავს, რომელსაც ისინი უნდა გადაეყვანა გურიაში, როგორმე დაეყოვნებინა გაფრენა. მფრინავს, ზოგიერთი მას გოგლიძედ მოიხსენიებს, თურმე გაუღიმია და უთქვამს, ნუ ღელავთ, ისინი ვერ ჩავლენ ადგილზეო. მართლაც, აფრენიდან გარკვეული დროის შემდეგ, მას გაუკეთებია „პიკირება“ და თვითმფრინავი მიწაზე დაუნარცხებია. ეს იყო წინასწარ განზრახული თავგანწირვა.

ამ ქართველი ვაჟკაცის გმირობა, ჩემის აზრით, თავისუფლად შეგვიძლია დავაყენოთ ცოტნე დადიანის, ქეთევან წამებულისა და სხვა ცნობილ თავდადებულთა გვერდით.

ბატონო ალეკო, შესაძლებლად გესახებათ თუ არა ეროვნულ მოძრაობაში პერიოდების გამოყოფა?

მას აქვს უდიდესი აღმავლობისა და უდიდესი დაცემის პერიოდები. მართალია, ოცდაათიან წლებში დასუსტდა განმათავისუფლებელი ბრძოლა, მაგრამ ის სულ არ ჩამქრალა. მიუხედავად განუკითხავი ტერორისა, პატრიოტული გრძნობის გაქრობა ვერ შესძლეს. ერთი კია, ეროვნულ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს ჩეკა ბანდებად ნათლავდა, რითაც ხალხს მათდამი უარყოფითად განაწყობდნენ. ჩვენი კომისიის მიზანიც სწორედ ესაა, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.

ეროვნულ მოძრაობაზე დიდი გავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომმა, რაც საგარეო ურთიერთობების შეცვლით იყო გამოწვეული. სწორედ ამ დროს შეიქმნა ბევრი ორგანიზაცია, რომელთა მიზანი ძირითადად დამოუკიდებლობის აღდგენა გახლდათ. ალბათ ამით იყო გამოწვეული ის, რომ 1942-43 წლებში უნივერსიტეტში ჩატარებული რეპრესიები თავისი მასშტაბითა და მძვინვარებით ოცდაჩვიდმეტი წლისას არ ჩამოუვარდებოდა. სწორედ მაშინ დააპატიმრეს 17 ასპირანტი, ფილოსოფიის ფაკულტეტის ბევრი სტუდენტი.

ამ წლებში მოხდა თუშეთის აჯანყება, რომელსაც ცნობილი პოეტი ბობლიაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ აჯანყებაში მონაწილეობას ბაქოს საარტილერიო სკოლაში მყოფი თუში და კახელი ახალგაზრდებიც ცდილობდნენ, მაგრამ ეს მოძრაობაც სისხლში ჩაახშეს ბოლშევიკებმა. ხელმძღვანელი კი შუა საუკუნეების „მეთოდით“ დასაჯეს — თავი მოკვეთეს და სოფლის ახლოს დაადგეს, სხვების დასაშინებლად.

შეიძლება ითქვას, რომ ომისდროინდელი გამოსვლები არ იყო მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული. ისინი ძირითადად მიზნად საქართველოს გადარჩენას ისახავდნენ, რამდენადაც არსებობდა საფრთხე მისი სრული განადგურებისა თვით ხელისუფლებისგანაც, გერმანელების გამარჯვების შემთხვევაში. ქართველი პატრიოტებისათვის ცნობილი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება თვითონ ანადგურებდა დატოვებულ ტერიტორიებს, ამ საფრთხის წინაშე ჩვენი ქვეყანაც იდგა. გავიმეორებ, რომ ეს ორგანიზაციები ერის გადარჩენისათვის იბრძოდნენ და არ ჰქონდათ მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური მიმართულებები.

ეროვნული მოძრაობა ომის შემდგომაც არ ცხრებოდა იგივე უნივერსიტეტში, განსაკუთრებით კი კახეთში (სადაც მოქმედებდა ჯგუფი მამალაშვილის ხელმძღვანელობით). მათი გამოვლენა და სათანადო პატივის მიგება ჩვენი მოვალეობაა მათი სახელის წინაშე.

თქვენ გაკვრით ახსენეთ ომის შემდგომი წლების ეროვნული მოძრაობა. ცნობილია, რომ მისი წევრი და ერთ-ერთი ინიციატორი თქვენც იყავით. ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება თვითმხილველის მოგონებები.

ჩვენს ორგანიზაციაში გაერთიანებული ვიყავით სტუდენტები: ცოტნე ჩხიკვიშვილი, ნოდარ ბაღრიაშვილი, ჯუნა ჩიხლაძე, ჯემალ წაქაძე, ვახტანგ კულულაშვილი, შოთა და პანტელეიმონ მელაძეები, იური მაჩაიძე და მე. მალე დიდი ძალა შეგვემატა ფრონტიდან დაბრუნებული ტარიელ კვანჭილაშვილის სახით. რაღა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვეწევდა უზარმაზარ სახელმწიფო მანქანასთან ბრძოლის ძალა, ამიტომ ვეძებდით საერთაშორისო მხარდაჭერას, ურომლისოდაც წარმოუდგენლად მიგვაჩნია დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრიც კი. ორგანიზაციის უსაფრთხოების მიზნით შევიმუშავეთ ე. წ. ჯაჭვური კავშირი — ცალ-ცალკე არსებული ჯგუფების ყველა წევრს არ ეცოდინებოდა მეორე ჯგუფის არსებობა. თავდაცვის სხვა საშუალება ჩვენ არ გაგვაჩნდა. 1948 წლის ოქტომბერში დაგვაპატიმრეს ათი კაცი, დანარჩენები გადარჩნენ. ამით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენში არცერთი გამცემი არ იყო. ჩვენი მოძრაობა ნათელი დასტურია იმისა, რომ ქართველი ხალხი ვერ შეეგუა და ვერც ვერასოდეს შეეგუებოდა იმ არტახებს, რაც ბოლშევიკურმა რუსეთის იმპერიამ მოგვიტანა. ჩვენი საქმიანობისათვის „ბრძოლის“ დარქმევა შეიძლება ხმამაღლა ჟღერდეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ იმდროინდელი სისასტიკე და დევნა, იმ პირობებისთვის ჩვენ შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაკეთებდით. ვფიქრობ, თავისუფლების მოყვარული სულის გაღვივებას მაინც ვუწყობდით ხელს. იმ დროისათვის ესეც საქმე იყო.

გარდა იმისა, რომ თქვენ რეპრესირებულების შვილი ხართ, კიდევ რამ იმოქმედა თქვენი პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაზე?

ძალმომრეობისადმი სიძულვილმა. 1941 წელს, თბილისის კომენდანტმა გენერალმა მახონკოვმა საჯაროდ დაახვრეტინა ჯერ კიდევ ბავშვები, მეზღვაური წვევამდელები, მცირე დაუმორჩილებლობის გამო რკინიგზის ვაგზლის მოსაცდელში. ამან განსაკუთრებით იმოქმედა ჩემზე. სწორედ ამის შემდეგ დავიწყე ოცნება ჩვენში მონარქიის ინსტიტუტის აღდგენაზე, რადგან ქართველ მეფეებსა და ერს შორის არსებული მამაშვილური დამოკიდებულება მივიჩნიე ჩემი ერის სიძლიერისა და გადარჩენის სიმბოლოდ. სწორედ ამიტომაც ვარ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი.

რა განსხვავებაა ორმოციანი წლებისა და თანამედროვე ეროვნულ მოძრაობას შორის?

იმ დროს, ლეგალურ ბრძოლაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, ამდენად, ჩვენ ვერ გავხდით პოპულარულები. ისე არ მინდა გამიგოთ, თითქოს ვფიქრობდე, რომ ახლანდელ თაობებს ეს შესაძლებლობა ხონჩით მოართვეს. მათ თავდადებული ბრძოლით მიაღწიეს ერის მხარდაჭერის მოპოვებას, მაგრამ სამოცდაათიანი (რომ არაფერი ვთქვა ოთხმოციანზე), წლები დიდად განსხვავდება ორმოციანისაგან. ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ უსაზღვრო ძალისხმევით შესძლეს ეროვნული მოძრაობის გამოღვიძება, ჩვენ კი არაფრით არ შეგვეძლო.

ხომ არ ისურვებდით ნათქვამზე რაიმეს დამატებას?

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ყველა ყოფილ პოლიტიკურ პატიმარს, გამოგვეხმაურონ, გამოთქვან თავისი აზრი, ჩვენს კომისიას მათი დახმარებისა და თანადგომის გარეშე მუშაობა არ შეუძლია. ვფიქრობ, ერთობლივი ძალით მეტად საჭირო საქმეს გავაკეთებთ. წინაპრების საქმენი ხომ უნდა იცოდეს ახალგაზრდობამ.

ესაუბრა
ბელა ნატროშვილი.

პრობლემა



გამგზავრების გადადება მოგიწევთ...

46 წლის გივი ინჯია საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზების, რეგისტრაციებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების უფროსად დაინიშნა. ოდესღაც ფრიად პერსპექტიული ინჟინერს, რომელმაც იურიდიული განათლებაც მიიღო, შემდეგ მოუხდა ჩაღრმავებოდა მილიციის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს. იგი სათავეში ედგა შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას, საუწყებო დაცვის სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს, რის შემდეგაც გამოიძახეს „ხალიჩაზე“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო სამმართველოს უფროსის მოადგილედ ჩამოქვეითებისათვის.

ახლა აზრი არა აქვს იმაზე ლაპარაკს, თუ რამდენად სამართლიანი იყო გადაწყვეტილება, თუმცა, დოკუმენტებით თუ ვიმსჯელებთ, იგი სულაც არ არის უდაო. მაგრამ მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე გამოცდილი პროფესიონალი რომ არ ყოფილიყო, საეჭვოა იგი დღეს დანიშნულიყო ესოდენ პასუხსაგებ და სადავიდარაბო თანამდებობაზე. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ მარტო კერძო მიწვევით გასამგზავრებელთა ნაკადი ახლა შარშანდელთან შედარებით ექვსჯერ გაიზარდა და თითქმის 400 ათასს მიაღწია. **მაინც, რით დაიწყო ვიზების, რეგისტრაციებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების ახალმა უფროსმა?**

— კადრებით. დიდხანს ვიმუშავე შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში და, რა თქმა უნდა, მქონდა წარმოდგენა ვიზების და რეგისტრაციების სამსახურის ფუნქციებზე. ისიც ვიცოდი, რომ მას ავტორიტეტი არა აქვს არც მოსახლეობაში, არც ჩვენს კოლეგებს შორის. ამიტომ შევკრიბე კოლექტივი და თანამშრომლებს უწინარეს ყოვლისა შევთავაზე: ვინც მორალურად, ფსიქოლოგიურად ან სხვა რაიმე თვალსაზრისით არ გრძნობს, რომ უფლება აქვს დარჩეს ვიზების, რეგისტრაციებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილებაში, ნუ დაელოდება სანქციებს, თვითონ წავიდეს, ორმა უკვე შეიტანა პატაკი გადაყვანის შესახებ.

— გაკმაყოფილებთ თუ არა სამსახურის სტრუქტურა?

— მართებულად არ მიმაჩნია, რომ ჩვენი რგოლი, რეგიონული რგოლების კონტროლისა და მეთოდური დახმარების გაწევის ორგანიზაციის ნაცვლად, სამუშაო აპარატია, სადაც გასამგზავრებელი დოკუმენტები უფორმდებათ რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ნაწილის მცხოვრებლებს — ამ ცოტა ხნამდე, აფხაზეთისა და აჭარის გამოკლებით. ახლა, მართალია, თბილისელებთან უშუალოდ მუშაობენ შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, მაგრამ აქ, ჩემი აზრით, მიზანშეწონილია შეიქმნას ვიზებისა და რეგისტრაციების ერთიანი განყოფილება მილიციის საქალაქო სამმართველოს სტრუქტურაში. რაც შეეხება დანარჩენ ტერიტორიას, ჯერ კიდევ წლის დამლევამდე დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეებს მოვემსახურებით ქუთაისში. ერთი სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზების რეგისტრაციებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილება რამდენადმე განიტვირთება — ჩვენს „მეურვეობაში“ იქნებიან მხოლოდ მესხეთ-ჯავახეთი, კახეთი და ქვემო ქართლი.

— ესე იგი, შეუმცირდებათ დატვირთვა თანამშრომლებს, რაც გულისხმობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. მაგრამ რამდენად? კერძოდ, თქვენთვის დედაქალაქის თავისუფლების მოედანზე მთელი სახლის გადმოცემის შემდეგ, შენობის პრობლემა, თითქოს, გადაჭრილია. ვაი, რომ, კვლავ უამრავი ხალხი გროვდება სადარბაზოსთან, კიბეებზე, დერეფნებში...

— წერეთლის პროსპექტზე მთავრდება ვიზების, რეგისტრაციებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილებისათვის გათვალისწინებული შენობის რემონტი. ასე რომ, ეს საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია. მიუხედავად ამისა, გადაუჭრელი პრობლემები თავსაყრელი გვაქვს, და ისინი, უმთავრესად, საფინანსო შესაძლებლობებს უკავშირდება.

— ეს უცნაურად გაისმის იმ სამსახურის მიმართ, რომელიც ყოველწლიურად იღებს სახელმწიფოსაგან მილიონობით შემოსავალს. სიტყვამ მოიტანა და, ხომ არ შეიძლება უფრო კონკრეტულად გვითხრათ?

— მოდით, გამოვიანგარიშოთ. დაახლოებით 400 ათასმა კაცმა გადაიხადა მიმდინარე წელს ორას-ორასი მანეთი ბაჟი. გადავამრავლოთ და მივიღებთ დაახლოებით 80 მილიონს, რომელიც შევიდა სახელმწიფო ბიუჯეტში. ვფიქრობ, ვიზებისა და რეგისტრაციების სამსახურის თვითანაზღაურებაზე გადაყვანა გარდაუვალი და აუცილებელია, მის ხარჯზე შევძლებთ გავაფართოოთ ტექნიკური პერსონალი. ახლა ხომ, მაგალითად, პასპორტებს წამსვლელებს უწერს სულ ორი კაცი. შევიძენთ კომპიუტერულ ტექნიკას, შევქმნით შესაბამის „მეხსიერების ბანკს“ — და აი, თქვენ მომსახურების ხარისხის კარდინალური გაუმჯობესების რეზერვებიც.

— გარეშე თვალის დაკვირვება: არცთუ ცოტანი გარბიან შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, ვიზების, რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილებაში [illegible] რეგულარულად შევაწოდოთ ინფორმაცია პრესის, რადიოს და ტელევიზიის საშუალებით, გამოვაკრათ სიტუაციის ამხსნელი განცხადებანი?

— სწორედ ასე მოვიქცევით აუცილებლად. ვსარგებლობ შემთხვევით და გეტყვით, რა აღელვებთ იმათ, ვინც ემზადება თურქეთში (იქიდან მოდის ათიდან ცხრა მოწვევა), საბერძნეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში გასამგზავრებლად. მესმის თქვენი შეშფოთება, მაგრამ ვერაფრით ვერ გაგახარებთ. კატასტროფულად გვაკლია საზღვარგარეთული პასპორტები, მათი დეფიციტი, აფხაზეთისა და აჭარის ჩაუთვლელად, შეადგენს 150 ათას ცალს. ქვეყანაში ერთადერთი მოსკოვის სახელმწიფო ნიშნის ფაბრიკა თავს ვერ ართმევს შეკვეთებს. ამჟამად, რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ჩვენ უზრუნველვყოფთ იმათ, ვინც გასაფორმებლად დოკუმენტები შემოიტანა თხუთმეტ სექტემბრამდე. წლეულს ყოველნაირად შევეცდებით დავაკმაყოფილოთ სექტემბრის მოთხოვნილება. შემდეგ კი, სამწუხაროდ, ძალა არ შეგვწევს. ამიტომ მინდა ვთხოვო რესპუბლიკის მცხოვრებლებს, გადადონ გამგზავრება, ნუ გაართულებენ ისედაც რთულ ვითარებას.

— რა გაეწყობა, მწარე სიმართლე სჯობს ტკბილ ტყუილს. რას იტყოდით ახალ წელზე, იგიც უსიხარულოა?

— ეს დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. [illegible]

— და ბოლოს, მოკლედ იმ განყოფილების საქმიანობის მეორე მიმართულებაზე, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. არსებითად, თქვენ საპასპორტო რეჟიმის მომხრე ხართ თუ წინააღმდეგი?

— საქართველოს ქალაქებში საცხოვრებელი ფონდისა და სამუშაო ადგილების მწვავე ნაკლებობის პირობებში — მომხრენი ვართ, სხვა საქმეა, რომ ჩაწერისა და ამოწერის საკითხებს არ უნდა განაგებდეს მილიცია. ხომ არსებობს სამეთვალყურეო კომისიები ხელისუფლების ორგანოებთან. პოდა, ეს მათი საქმეა. მილიციამ კი საბინაო-კომუნალურ სამსახურებთან, საზოგადოებრივ აქტივთან ერთად, ლოგიკურია მონაწილეობა მიიღოს საპასპორტო რეჟიმის დარღვევათა გამოვლენაში.

მაგრამ ჯერჯერობით ესეც და ისიც დაკისრებული აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოებს. საპასპორტო მუშაობის დონე რესპუბლიკაში დაბალია. შევიტანთ შესაბამის კორექტივებს.

საუბარს უძღვებოდა
ვლადიმერ იარალოვი,
სს „საქართველოს“ კორ.

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზების, რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების უფროსი გივი ინჯია.
ბონდო დვალიშვილის ფოტო („საქართველოს“ ფოტოქრონიკა).

წერილები რედაქციას

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ
ზვიად გამსახურდიას,

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ
თენგიზ სიგუას,

საქართველოს რესპუბლიკის
უშიშროების კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ
ოთარ ხატიაშვილს.

პროსტალინისტური საბჭოური პოლიტიკით გაძლიერებულ და სულ უფრო მზარდ რუსიფიკატორულ, საქართველოში ეროვნული საფუძვლების მომრღვევ და კორუფციის მეთოდით ხალხის ცნობიერების წარმყვნელ პროცესებთან დაკავშირებით, აღმასრულებელმა მედროვეებმა, „სტალინის კულტის“ გმობის მომიზეზებით, არაერთ წარმოჩენილ მოღვაწესთან ერთად, დააკნინეს და უფლებრივად შეზღუდეს სცენის დიდოსტატი აკაკი ვასაძე. არ დასჯერდნენ 58 წლის ხელოვნის გარიყვას თბილისიდან და საკუთრივ რუსთაველის თეატრიდან (რომლის დაფუძნებას, რეფორმაციასა და აღმავლობაში მას უდიდესი წვლილი მიუძღოდა) და ზოგიერთი პირის მეშვეობით შეუდგნენ მისი ღვაწლის განქიქებას და სახელის შებღალვას.

ჯერ იყო და აკაკი ვასაძის ტალანტი და ოსტატობა ხელჰყვეს — სტალინმა და ბერიამ აქციეს სახელგანთქმულ მსახიობადო. როდესაც აკაკი ვასაძემ თავისი ხელოვნებით კოვზი ნაცარში ჩაუგდო ვიღინდარა მკრეხელებს, მისი ზნეობრივი გატეხა სცადეს. მან შემდეგ, რაც ცილისწამებით და ყოველმხრივი დამცირებით ლოგინად ჩააგდეს აკაკი ხორავა და საიქიოს პატივით გაისტუმრეს, ა. ა. ვასაძეზე შეუდგნენ ცილისწამებათა გავრცელებას — თითქოს მისი ინიციატივითაც და ძალისხმევითაც მომხდარიყოს სანდრო ახმეტელის და კიდევ რამდენიმე მსახიობის რეპრესირება 1937 წელს. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ზურგს უმაგრებდა და აწინაურებდა მისი პოლიტიკის ნებსით თუ უნებლიე აღმსრულებლებს. საკუთრივ რუსთაველის თეატრში ხელისუფლების პოლიტიკის შეფარულ მიზანდასახულობას წარმოადგენდა მორღვევა ეროვნული მიმართულებისა, რომლის საყრდენიც და სულისჩამდგმელიც აკაკი ვასაძე იყო (ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, 1936-37 წლებში, რუსთაველის თეატრის ზოგიერთი წარმომადგენლის შინსახკომისადმი მიცემული ამგვარი ჩვენებები: „ტვინი წაგვიღო ვასაძემ თამარ მეფითა და თორმეტმილიონიანი საქართველოს ქადაგებითო“. თუ ვინ იყვნენ ამგვარი დასმენების ავტორები, ამას დოკუმენტები წარმოაჩენენ).

მრავალმეტყველია ის ფაქტი, რომ აკაკი ვასაძის სიცოცხლეში ვერ ბედავდნენ ხელოვნურად შეთითხნილი ბრალდებების ოფიციალურად გაცხადებას, რადგან იცოდნენ, საკადრის პასუხს მიიღებდნენ. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ შეუდგნენ თავიანთი სავის გეგმაზომიერ განხორციელებას ბედვითი სიტყვით. განა მარტო ცილისწამებას — ქართული თეატრის ისტორიაში აკაკი ვასაძის მნიშვნელოვანების მიჩქმალვას ფაქტების შენაცვლების მეშვეობით, მხატვრული სიდიდეების გაყალბებას, ვასაძის დამსახურებათა მიწერას სხვებზე და სხვა ამგვარ მაქინაციებს. ავსაქმეს შესაფერისი თაოსანი და ორგანიზატორი კიდეც გამოუჩნდა — თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი ნ. ურუშაძე. ნ. ურუშაძემ მისი პიროვნების მუდამ უარყოფითად შემფასებელი აკაკი ვასაძე რომ არ დაინდო, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ მისთვის ნაჯაფნამაგდარი აკაკი ხორავა რა სინდისმა გააწირვინა: უპრიანი იქნებოდა ოციან წლებში საკუთარი მამის „მოღვაწეობა“ შეესწავლა, ვიდრე ცილისწამების შხამიან მახვილს აღმართავდა მზრუნველი მამობილის აკაკი ხორავას წინააღმდეგ.

მრავალზე მრავალი წუხდა ცილისმწამებელთა პარპაშით, მაგრამ წინააღმდეგობას გაურბოდა. პირადად ჩვენ ვთხოვეთ რამდენიმე ძველ მსახიობს, საჯაროდ ემხილებინათ ცილისმწამებლები, და ასე გვიპასუხეს მობოდიშებით: რომც დავწეროთ, ვინ დაგვიბეჭდავს, და რომ დაბეჭდონ, ცოცხლად შეგვჭამენო, მათზე წყენა გულშიც არ გაგვივლია, არც გაგვიმტყუნებია: იმდროინდელ ხელისუფლებასთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან და აღზევებულ ცილისმწამებლებთან შეჭიდება, ცხადია, ძალზე სახიფათო იყო.

ეგრეთწოდებულმა „პერესტროიკამ“ და საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ, რა გინდ უცნაურადაც უნდა მოეჩვენოს ვინმეს, ხსენებული აქციები გამწვავა. ხალხი ნოემბრის და აპრილის ქარ-ცეცხლში სიკვდილს თვალებში შესცქეროდა, ზოგნი კი, სოროებში შემძვრალნი თუ მოსკოვს გახიზნულნი, ცილისმწამებლურ წიგნებს თხზავდნენ. ახლაც, ლამის თავზე ჩამოგვემხოს ცა, ესენი კი საფლავთა შებღალვას არ ეშვებიან. ბოროტებით აღძრულნი იმასაც ვერ იაზრებენ, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, ერის დამსმენთა როლშიც ჩნდებიან. თუ არა ერის დასმენა, მაშ, რა შეიძლება ეწოდოს ნ. ურუშაძის მიერ 1990 წელს მოსკოვში გამოცემულ, უგუნურების და სპეკულაციების დონეზე შეთითხნილ წიგნს „სანდრო ახმეტელი“. რუსულ ენაზე გამოდის წიგნები, რომლებშიც ქართველ მსახიობთა სიდიადეს და ქართული თეატრის წარმატებებს სტალინის და ბერიას კეთილგანწყობას აწერენ ავტორები. ჩვენ სწორედ იმას გვაბრალებენ, სტალინმა და ბერიამ აღვაზევათ ქართველებიო, და აგერ ქართული გვარის პირნი იქით უმტკიცებენ და შეაგონებენ რუსებს — ხორავას და ვასაძის სიდიადე სტალინის და ბერიას მხარდაჭერამ განაპირობაო. ამასაც არ სჯერდებიან და ქართული თეატრის და მწერლობის საკუთარი გამრუდებული ფანტაზიით გაბინძურებული სურათები რუსეთში გააქვთ და ყალბი სინანულით ეროვნულ თვითგვემას ეწევიან — აი, რა საზიზღრები ვართო. ეს კიდევ რაა, ღვარძლით გონებადაბნეულთ, სტალინისა და ბერიას ცოდვათა შემსუბუქებაც გამოსდით — მათ კი არა, ხორავასთანა და ვასაძისთანა პირებმა გაზარდეს რეპრესიების მასშტაბები, ისინი მოითხოვდნენ მათზე უკეთესი მსახიობების და რეჟისორების განადგურებას, სხვათა მოშორების გზით ძალაუფლების მოპოვებასო.

ასეთებზეა ნათქვამი: ღვარძლით შეპყრობილი, ბეცი ხდებაო.

საქართველოში არსებული ურთულესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, შეგნებულად თავს ვარიდებდით საკითხის საჯაროდ გამოტანას, გვეგონა, დრო სიმართლეს თავისთავად წარმოაჩენდა. მაგრამ, რაც ხანი გადის, საკითხი საზოგადოებრივი თვალსაზრისით სულ უფრო მტკივნეული და თვალსაჩინო ხდება. სულ ახლახან, 16 და 19 დეკემბერს, რადიოში გაისმა აკაკი ხორავას და აკაკი ვასაძის უკიდურესი ძაგება „ჯალათების“ ცნების გამოყენებით. რა უნდა გამოიწვიოს ხალხში ამგვარმა აქციებმა, თუ არა დაბნეულობა, გულგატეხილობა, ცინიზმი, გაბოროტება, სულისა და გონების მოწამვლა...

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას: უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ასეთი ცილისწამებების შედეგიცაა, რომ ადამიანმა დაკარგა ადამიანის რწმენა, მოღვაწის ფასი, წინაპრის პატივი, და ხალხს სული დაუზიანდა. ამან ბევრად განაპირობა ჩვენს თავს დამტყდარი მრავალზე მრავალი უბედურება. საქმე ცალკეულ პირთა გაშავებას აღარ ეხება, საქმე ეხება ხალხში რწმენის მოშლას. ძალისხმევაა საჭირო, რადგან ცილისმწამებელთა, უვიცთა და უგუნურთა უკუღმართობა აბრკოლებს ჩვენი ხალხის ცნობიერების გაჯანსაღებას და ღირსებით განმტკიცებას. ხალხის ცნობიერების განმწმენდი და განმამტკიცებელი უპირველესი წამალი სიმართლეა.

წინამდებარე მიმართვაში დაყენებული საკითხი თუმცა ძალზე მტკივნეულია და პირადად ჩვენც აქამდე ვეკრძალებოდით ტანჯული ადამიანების ხსოვნის შეწუხებას, მაგრამ ცილისმწამებლებმა უკვე იმდენი მოიმოქმედეს და ისე წაბილწეს საფლავები, ისე გაამრუდეს ადამიანთა გონება და დამოკიდებულება განსვენებული მოღვაწეებისადმი (ეს მარტო ხორავას და ვასაძეს არ ეხება), რომ იგი საჩქაროდ მოითხოვს სიმართლის (მიუკერძოებლად, ობიექტური მონაცემების მოშველიებით) წარმოჩენას და გადაწყვეტას.

მოვითხოვთ: ჟურნალ „ხელოვნების“ ან „თეატრალური მოამბის“ ფურცლებზე დაიწყოს გამოქვეყნება 1935-1937 წლებში, ერთი მხრივ, რუსთაველის თეატრში გამწვავებული კონფლიქტების და, მეორე მხრივ, ს. ახმეტელის და რამდენიმე მსახიობის თავს დატეხილ რეპრესიების მიზეზთა და პროცესთა ამსახველი დოკუმენტებისა. ეს დოკუმენტები ინახება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში, სახელმწიფო არქივში, რუსთაველის თეატრის მუზეუმში, თეატრის და კინოს სახელმწიფო მუზეუმში. რაც მთავარია, ყველა დოკუმენტი, ყველა ჩვენება სრულად დაიბეჭდოს, ყოველგვარი შეკვეცის და რომელიმე მხარის გაფრთხილების გარეშე. უკვე ორივე მხარე რეპრესირებულია: ერთი — სტალინის და ბერიას სახელმწიფო მანქანით, მეორე — სახელმწიფო მანქანას დაქვემდებარებულ ცილისმწამებელთა მიერ. მანამდე კი აღიკვეთოს აკაკი ვასაძისა და აკაკი ხორავას მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებების წამოყენება აგიტაცია-პროპაგანდის ყველანაირი საშუალებებით.

ჩვენ ამას მოვითხოვთ არა მარტო აკაკი ვასაძის მემკვიდრეთა და მისი სახლ-მუზეუმის მეურვეთა უფლებით, არამედ ეროვნულ-საზოგადოებრივი მრწამსით და მოქალაქეობრივი შეგნებით.

აკაკი ვასაძის სახლ-მუზეუმის გამგე ი. ნ. ლომჯარია.

აკაკი ვასაძის მემკვიდრენი: მწერალი, პროფესორი ა. ზ. ვასაძე, თეატრმცოდნე, მ. ა. ვასაძე, მსახიობი ზ. ა. ვასაძე.

პატივცემულო რედაქტორო!

ნებისმიერ ორგანიზაციისა თუ პარტიის შესახებ ხალხმა უნდა იცოდეს ორი რამ. როგორია მისი პროგრამა (ე. ი. რას ისახავს მიზნად) და რა გააკეთა, პრაქტიკულად რა საქმიანობას ეწევა.

აღნიშნული ორი მომენტის მიხედვით აფასებს ხალხი მიზანშეწონილია თუ არა ამა თუ იმ ორგანიზაციის არსებობა და ამის მიხედვით ჰყავს მას მხარდამჭერები.

ჩემს ინტერვიუში, რომელიც დაიბეჭდა 1990 წლის 22 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სათაურით „ჩამოვასახლოთ სვანები ბარში?!“ შევეცადე სწორედ ის ორი მხარე წარმოეჩინა და ამით დამენახვებინა ხალხისთვის ჩვენი ორგანიზაციის სახე, მაგრამ სამწუხაროდ არ გამოვიდა, რადგან ჯერ ერთი ინტერვიუ გამინახევრეს, მაგრამ მე რეპლიკას ვწერ არა იმიტომ, რომ მასალა არა სრულად დაიბეჭდა და ჩვენს მიერ გაკეთებული საქმეებიდან ნახევარიც არ გამოიტანეს დღის სინათლეზე. სხვა თუ არა, ალბათ უნდა აღნიშნულიყო, რომ ჩვენი ორგანიზაციის უშუალო ჩარევით და თხოვნით დაინიშნა ავტობუსი ზუგდიდი-ბეჩო, სულ მოკლე ხანში გავა ავტობუსი თბილისი-ლენტეხის მიმართულებით, დალის ხეობაში დაემატა ელექტრომონტიორების სამი საშტატო ერთეული, ომარიშარაში ახალი ტრანსფორმატორი დაიდგა, გამოყოფილია და ამ დღეებში ახალ ორხიდიან სატრანსპორტო საშუალებას მიიღებენ დალის ხეობის ელქულელები, რათა ზამთრის რთულ პირობებში შეუფერხებლად ემსახურონ მოსახლეობას, აღარაფერს ვამბობთ მესტიის კავშირგაბმულობის სახურავსა თუ სხვა წვრილმან თუ მსხვილმან პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაშიც ასევე გადამწყვეტი როლი ვითამაშეთ.

თქვენი გაზეთი არის ოფიციალური ორგანო, რის გამოც გასაგებია, რომ არ არის შესაძლებლობა ყოველგვარი მასალა გაუშვან სრულად, მაგრამ გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ზოგიერთი მომენტის, ფაქტის ნებსით თუ უნებლიეთ დამახინჯებას (კერძოდ ეს ეხება სამეგრელო-სვანეთის საზღვარზე კოშკის აღდგენის ფაქტს).

ჩემს ინტერვიუში ვწერდი: „ჩვენმა ორგანიზაციამ სვანეთისათვის საქმის კეთების შეჯიბრის ატმოსფეროც კი შექმნა, რაც უდავოდ სასარგებლოა. მაგალითად, სამეგრელო-სვანეთის საზღვარზე კოშკი წლების მანძილზე გადაუხურავი იყო, რომლის შესახებაც სხვა და სხვა კომპეტენტურ პირებს არაერთგზის მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო როდესაც ჩვენმა ორგანიზაციამ გადასახური მასალები მოამზადა და უნდა გადაგვეხურა კიდეც, — უცებ კეთილი ინებეს და გადახურეს. აი თურმე რა სასარგებლოა ჯანსაღი კონკურენცია სიკეთის კეთებისა“.

ჩემს მიერ გატარებული აზრი აღნიშნულის შესახებ ასეთი იყო და დაიბეჭდა სულ სხვანაირად; ჩვენს მიერ გადახურულად მოგვაწერეს. ჩვენ ნამდვილად არ გვინდა სხვისი გაკეთებული დავიბრალოთ, ჩვენ ჩვენს მიერ გაკეთებული საქმეებიც გვეყოფა და მიწერებს ნამდვილად ვერ დავიწყებთ. ხოლო აღნიშნულის უნებლიეთ გადასხვაფერება, ისე როგორც დაიბეჭდა, — შეიძლებოდა თუ არა ამის განსჯა მკითხველს მივანდოთ.

ლია ცინდელიანი,
საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სვანეთის“ პრეზიდენტი.

რედაქციისაგან: „ჩემს ინტერვიუში“ — წერს ქალბატონი ლია ცინდელიანი და ამიტომაც გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გვინდა შევახსენოთ, რომ ინტერვიუ მისი კი არა, სწორედაც რომ ჩვენია. რედაქციას ყველანაირი უფლება აქვს თავისი კორესპონდენტის მიერ აღებული და დაწერილი მასალა, თავისი შეხედულებისამებრ მისცეს გაზეთში. იგულისხმება შემცირება, მთავარისა და მეორეხარისხოვანისადმი სარედაქციო პოზიციის განსაზღვრა და არავითარ შემთხვევაში ინტერვიუს ობიექტის აზრის ან სიტყვების დამახინჯება ან გადასხვაფერება. ხოლო, რაც შეეხება დასახან უზუსტობას, იგი გვერწმუნეთ, უნებლიეა და ღრმად გვწამს, რომ ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს იმ მართლაც საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც სვანეთის გადარჩენა ჰქვია და რასაც ორგანიზაცია „სვანეთი“ ემსახურება.

ფხიზლად, საზღვარია!

საზოგადოება „თვისტომი“ ქართველთა ყურადღებას კვლავ მიაქცევს იმ საშიშროებაზე, რაც ჩვენს, ისედაც მრავალგზის ტერიტორიაშეკვეცილ, სამშობლოს ემუქრება საზღვრების მშვიდობიანი (?) თუ არამშვიდობიანი ხელყოფის სახით.

იმპერიაში გამეფებული ანარქია და განუკითხაობა უფრო რეალურს ხდის ზემოთ ხსენებულ საფრთხეს. რამდენადაც დღეს გაცილებით ადვილმისაღწევია საქართველოს საზღვრების დაცვა, იმდენად ძნელი გახდება მომხდარის ლიკვიდაცია. ამის სამწუხარო გამოცდილება დამოუკიდებელი საქართველოს (1918-21) ისტორიის მიხედვით უკვე გვაქვს.

იმპერიის საოკუპაციო არმია დაიცავს მხოლოდმხოლოდ საზღვარს თურქეთთან. საქართველოს სხვა მეზობელ ქვეყნებთან საზღვრების დაცვით იგი არაა დაინტერესებული. „წესრიგის დასამყარებლად“, როგორც სჩვევია, გვიან გამოჩნდება, და როცა გამოჩნდება, მხოლოდ იმისთვის, ჩვენ ხელები შეგვიკრას და მტერს გაუხსნას. „გაზავების“ ამგვარი პრინციპი ხელს აძლევს საქართველოს დაუძინებელ მტერს — იმპერიულ ცენტრს.

მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირეთს საზღვრის დარღვევის რეალური საფრთხე თითქმის არ ემუქრება, ამ ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს სასაზღვრო უსაფრთხოების დაცვის ხაზით. ჩვენს ირგვლივ კი ზოგ ადგილას „კეთილ მეზობელთა“ ისეთი რკალია, რომელთა ექსტრემისტი ლიდერები საქართველოს ცრუტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებენ და ახალი ომით ემუქრებიან. და ამ დროს ჩვენი საზღვრები აბსოლუტურად დაუცველი და იავარქმნილია.

„თვისტომი“ კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს უზენაესი საბჭოს 20 დეკემბრის კანონს ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ და, ახლა, რაკი სასურველი ნაბიჯი გადადგმულია, უზენაესი საბჭოსა და ეროვნული გვარდიის წინაშე აყენებს გადაუდებელ, კონკრეტულ წინადადებებს:

ა) ეროვნულ გვარდიას მის ერთერთ უწმინდეს მოვალეობად განესაზღვროს საქართველოს საზღვრების დაცვა ყოველი მხრივ და ყველა მიმართულებით.

ბ) დაუყოვნებლივ შეიქმნას სასაზღვრო გზატკეცილებზე სასაზღვრო საკონტროლო პუნქტები სადღეღამისო მორიგეობით.

გ) აბსოლუტურად შეწყდეს მოძრაობა როკის გვირაბში, ხოლო სხვა უღელტეხილებზე დაწესდეს ფხიზელი კონტროლი. ადამიანთა ჯგუფის მიერ ყოველ სასაზღვრო ინციდენტს ქვეყანაზე თავდასხმის კვალიფიკაცია მიეცეს.

დ) მოსახლეობის აქტივის, ადგილობრივი საბჭოების, მოხალისეთა რაზმების დახმარებით ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობით განუწყვეტლივ ედევნოს თვალყური საქართველოს საზღვრების ხაზმელეთო და საზღვაო გარშემოწერილობას.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს უზენაესი საბჭო ამ გარდამავალ ეტაპზე ტერიტორიულ პრეტენზიებს არავის უყენებს (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამჟამად თავისი ეროვნულ-ისტორიული ტერიტორიის მხოლოდ მეოთხედი უკავია. „თვისტომს“ სწორად მიაჩნია ამჯერად ეს ტერიტორიული სტრატეგია, მაგრამ, ჩვენი საშვილიშვილო ვალია, რაც შეგვრჩა ისტორიის ქარტეხილებში საბედისწერო ჯახჯარისაგან, ის მაინც შევინარჩუნოთ და არცერთი მტკაველი ქართული მიწისა გადამთიელთ აღარ დავუთმოთ.

საზოგადოება „თვისტომი“

საქართველოს ექიმთა ასოციაციის განცხადება

საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობა, საქართველოში არსებული დაძაბული სიტუაციისა და ფაქტების არაერთსახოვანი შეფასებიდან გამომდინარე, თავს ვალდებულად თვლის განაცხადოს;

1990 წლის 23 მარტს შეჩნაბადაზე ქართველ მაშველთა კორპუსის დამფუძნებელ სხდომაზე ოცდაათამდე სხვადასხვა ორგანიზაციასთან და დაწესებულებასთან ერთად, მიწვეულ იქნენ საქართველოს ექიმთა ასოციაციის წარმომადგენლები. მიზანი აღნიშნული კორპუსის შექმნისა იყო ფრიად კეთილშობილური და საჭიროც.

ამონაწერი ქართველ მაშველთა კორპუსის წესდებიდან: „დროული კვალიფიციური დახმარება გაეწიოს საქართველოს მოსახლეობას სტიქიური, თუ სხვა სახის უბედური შემთხვევების დროს. აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სხვა ქვეყნებში სტიქიური შემთხვევების შედეგების ლიკვიდაციის საქმეში“. ექიმთა ასოციაციამ თანხმობა განაცხადა სამედიცინო ხასიათის დახმარება გაეწია ამ კორპუსის ფუნქციონირების საქმეში. სწორედ ასოციაციის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანადგომით განხორციელდა ძალზე მნიშვნელოვანი და წარმატებული ექსპედიცია ირანში, მიწისძვრის სალიკვიდაციო სამუშაოს ჩასატარებლად, საიდანაც კორპუსელები (ხუთი ექიმი, ხუთი პროფესიონალი მაშველი) მთავრობის სამადლობელი წერილით დაბრუნდნენ.

ფაქტია, ქართველ მაშველთა კორპუსი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც აპოლიტიკური ორგანიზაცია, ასევე აპოლიტიკური იყო იმ დროისათვის ამ კორპუსის ერთ-ერთი დამფუძნებელიც — „საქართველოს მხედრიონი“ (იხ. მხედრიონის წესდება). მინისტრთა საბჭოს მიერ კორპუსის რეგისტრაციის შემდგომ პერიოდში „საქართველოს მხედრიონისა“ და ქართველ მაშველთა კორპუსის სახელი გაიგივებულ იქნა. ბოლო ორი თვის განმავლობაში საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა, „საქართველოს მხედრიონი“ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა და ერთ-ერთ სერიოზულ ძალად აქცია. გამოიკვეთა მისი დაპირისპირება არსებულ ხელისუფლებასთან, რამაც მის საქმიანობას შესძინა აშკარა პოლიტიკური ელფერი.

საქართველოს ექიმთა ასოციაცია, ხელმძღვანელობს რა ექიმის პროფესიის მაღალი იდეალებით და თავისი წესდებით, თავს უფლებას ვერ მისცემს ორგანიზაციულად დარჩეს რომელიმე პოლიტიკური მიმართულების მქონე ორგანიზაციის, კერძოდ, ქართველ მაშველთა კორპუსის დამფუძნებლად. აქედან გამომდინარე, სეა-ს არავითარი პრეტენზია არ გააჩნია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებასთან მაშველთა კორპუსის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე. ამავე დროს, იგი თავის წევრებს სრულ თავისუფლებას აძლევს, ეკუთვნოდეს ნებისმიერ პარტიასა და პოლიტიკურ დაჯგუფებას. და ბოლოს, საქართველოს ექიმთა ასოციაცია სარგებლობს შემთხვევით და მოუწოდებს ქართველ ხალხს ერთობისკენ, გონიერებისკენ, ურთიერთსიყვარულისკენ.

გაუმარჯოს თავისუფალ, ქრისტიანულ საქართველოს!

საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ სახლში

ზიარება სიონის ტაძარში

ორი კვირის წინათ, 9 დეკემბერს სიონის საკათედრო ტაძარში კვირის წირვაზე ეზიარა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია. ხოლო 23 დეკემბერს, კვირის წირვაზე ამავე ტაძარში ეზიარნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი, უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები თემურ ქორიძე და ვაჟა ადამია, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია.

ზიარებულნი დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

სს „საქართველო“

საშობაო საღამო „ქაჯეთის ციხეში“

თბილისის რიტუალების სასახლეში 53-ე საშუალო სკოლის მეექვსე კლასელებმა საშობაო ზეიმი გამართეს. პროგრამაში იყო დისკო, ვიდეო, მულტპროგრამები, საშობაო სანახაობები და კონცერტი. გარდა ამისა, საგანგებოდ გამოწყობილმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს საზეიმო კოსტიუმები, რისთვისაც პრიზები დაიმსახურეს „ინდოელებმა“ — თამრიკო და ნინო ჩხეიძეებმა, „ფუფალამ“ — ქეთევან ბეჟიტაშვილმა, „იაპონელმა“ — ნინო სანადირაძემ, „ესპანელმა“ — მიხეილ გვასალიამ, „კარლსონმა“ — გიორგი გომართელმა და „შავმა რაინდმა“ — ზურაბ ლეჟავამ.

თანატოლთა სიმპათია დაიმსახურეს „მერი პოპინსმა“ — ნინო ყიფიანმა, „ჰერცოგინიამ“ — ირინა სიხარულიძემ, „ჯამბაზმა“ — მერაბ ლომინაძემ.

დასასრულს მოსწავლეთა ჟიურიმ დაასახელა გამარჯვებულები „მისტერ და მის შობა“. ეს საპატიო წოდება მაკა ბარნოვმა და გიორგი გომართელმა დაიმსახურეს. მოსწავლეებმა ერთმანეთს გადასცეს ნატვრის ხე პირველი საშობაო სურვილებით.

კოკა ჟანდიაშვილი:

სურათზე: საშობაო მეჯლისზე.

შალვა გოქაძის ფოტო.

ადამიანი მთავარი საზრუნავია

„გოგილოცავთ ქრისტიანობის დიდ დღესასწაულს — ქრისტეს შობის დღეს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“, — ასეთი მილოცვა და საშობაო საქველმოქმედო კონცერტზე მოწვევა მიიღეს თბილისში მცხოვრებმა მარტოხელა ხანდაზმულებმა, რომლებსაც ბინაზე სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება. სწორედ მისი ცენტრალური კომიტეტის, სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირებისა და საქართველოს რესპუბლიკის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის ინიციატივით მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა ეს არაჩვეულებრივი საღამო.

— მადლობა მინდა მოვახსენო ყველას, ვინც ეს ჩინებული შეხვედრა მოგვიწყო და თავისი ხელოვნებით გაგვახარა. — თქვა პენსიონერმა მარიამ ბერბერაშვილმა. რომელსაც მთაწმინდის რაიონის წითელი ჯვრის რაიონული კომიტეტი პატრონობს.

— მართლია, წითელი ჯვრის საზოგადოება და მათი მოწყალების დები მზრუნველობას, მოვლა-პატრონობას არ გვაკლებენ და უშუალოდ ბინაზე გვიწევენ სამედიცინო დახმარებას, მოაქვთ საჭირო მედიკამენტები და პროდუქტები, ეს საღამო მაინც სულ სხვაა, — გულწრფელად გამოხატეს მადლობა ომის ვეტერანმა შალვა აივაზიშვილმა და ომის ინვალიდმა როზა რატოვამ.

საქველმოქმედო საღამოზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, უსინათლო და სმენადაქვეითებული ინვალიდები, საპატიო დონორები და წითელი ჯვრის აქტივისტები. კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „იბერია“, სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამუკიდებელი პროფკავშირების ქალთა ვოკალური ანსამბლი „აქიმი“, თბილისის მეექვსე სამუსიკო საშუალო სკოლის გოგონათა ვოკალური ანსამბლი, მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის ხალხური სიმღერის კოლექტივი „ორბი“. საღამოზე მოწვეულ მარტოხელა ხანდაზმულებსა და ინვალიდებს გადაეცათ საშობაო საჩუქარი, სახალწლოდ კი ისინი უფასოდ მიიღებენ პროდუქტებს, რომელიც მათთვის რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ გამოყო.

— ჩვენს დედაქალაქში, — გვითხრა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ ცქიტიშვილმა, — დღეს 1.300 მარტოხელა ხანდაზმული ომისა და შრომის ვეტერანია. აქედან 629-ს უშუალოდ ბინაზე ემსახურება წითელი ჯვრის საზოგადოება. მათ სამსახურშია 200-ზე მეტი მოწყალების სამსახურის მუშაკი — მოწყალების დები და მოწყალების უმცროსი დები. ეს ღონისძიება ჩვენს საზოგადოებასთან ერთად დააფინანსა საქართველოს რესპუბლიკის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ. თანხები 20 და 5 ათასი მანეთის ოდენობით გადმორიცხეს აგრეთვე კრწანისისა და მთაწმინდის რაიაღმასკომებმა. დიდი დახმარება გაგვიწია ქალაქის სატრანსპორტო სამმართველომ, რომელმაც ამ ღონისძიებისათვის ათი ავტობუსი გამოყო. ხანდაზმულების გადაყვანას მოემსახურა აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შვიდი და წითელი ჯვრის საზოგადოების სამი მსუბუქი ავტომანქანა.

მართალია, მარტოხელა ხანდაზმულებისადმი ყურადღება ჩვენი მოვალეობაა, მაგრამ აქამდე მათთვის კულტურული ღონისძიებების გამართვას ვერ ვახერხებდით. მომავალში კიდევ უფრო მრავალფეროვნდება ჩვენი ღონისძიებები. კერძოდ, განზრახული გვაქვს უფასო კვებაზე გადავიყვანოთ ჩვენს პატრონაჟში მყოფი მარტოხელები. უფასო კვებით ბინაზე მიტანით მათი უზრუნველყოფისათვის, სამედიცინო და სხვა სოციალური მომსახურებისათვის წლის მანძილზე საჭირო იქნება დაახლოებით ორი მილიონი მანეთი. ამ საქმეში დახმარება აღგვითქვეს საქართველოს რესპუბლიკის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა, უსინათლოთა და ყრუთა საზოგადოებებმა, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფერენციამ, ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ. ვიმედოვნებთ, რომ ამ სიას სხვა ორგანიზაციებიც შეუერთდებიან.

სს „საქართველო“

მიენიჭა სახალხო თეატრის წოდება

ჩოხატაური. (ჩვენი საკ. კორ.) სოფელ ბუკისციხის კულტურის სახლის შემოქმედებით კოლექტივს გამოცდილი ხელოვანი ტიტე შარაშიძე უდგას სათავეში. მათ მიერ ნიჭიერად მომზადებულ სპექტაკლებს არაერთხელ გაუხარებია მაყურებელი. თეატრი ხშირად ეწვევა ხოლმე რაიონის სოფლებს, სადაც მაყურებელთ მოსწონთ მათი წარმოდგენები.

— ახლახან კულტურის სახლის დრამატულ კოლექტივს სახალხო თეატრის საპატიო წოდება მიენიჭა. ამის პასუხად თეატრის კოლექტივმა მოკლე დროში მომზადა და მაყურებელს უჩვენა ნოდარ წულეისკირის „მსხვერპლი“, რომელიც დადგეს ტ. შარაშიძემ და გ. ცინცაძემ. მხატვრულად გააფორმა მ. გერსამიამ, მუსიკა ეკუთვნის გ. ზუზუტეიშვილს.

პრემიერა მოიწონეს. ეს ფაქტი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სოფლის სახალხო თეატრის სცენისმოყვარენი მომავალში მეტი პასუხისმგებლობითა და ენერგიით განაგრძობენ თავიანთ საპატიო შემოქმედებით საქმიანობას.

შემოქმედებითი მეგობრობა

ოზურგეთი. (ჩვენი საკ. კორ.) წლეულს აპრილში ოზურგეთს ეწვია გერმანიის ქალაქ ფელბახის გიმნაზიების ბაზაზე არსებული სტუდია-თეატრი. სტუმრებმა შთამბეჭდავი სპექტაკლები უჩვენეს მაყურებელს. ისინი რამდენიმე დღეს დარჩნენ რაიონში, დაათვალიერეს მისი ღირსშესანიშნაობანი. წასვლისას ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი მიიპატიჟეს გერმანიაში.

და აი, ოზურგეთელები ახლახან გერმანიას ეწვივნენ ორი სპექტაკლით — ნ. დუმბაძის „გამარჯობათ, ხალხო“ და ა. ჩეხოვის „ხელის თხოვნა“.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ გვიამბო იმ გულთბილ შეხვედრებზე, რომელიც ჰქონდათ გერმანიაში. იმაზე, თუ როგორ მოიხიბლენ გერმანელები ქართული სპექტაკლებით.

გერმანიაში ერთკვირიანი გასტროლების შემდეგ ოზურგეთის თეატრის დასი ემზადება საკუთარ მაყურებელთან შესახვედრად. მალე უჩვენებენ ა. სუმბათაშვილის „ღალატს“ და ჯ. მაღალაშვილის „პანორამას“.

აღმავლობის გზაზე

დღეს მთელი საქართველო შემობრუნდა მესხეთისაკენ, გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი, სამედიცინო, სამუსიკო და სასულიერო სასწავლებლები, ამოქმედდა საფარისა და ზარზმის მონასტრები, ეკლესია-სალოცავები. ცოცხლდება ახალციხის, რაბათის ციხე-სიმაგრის მიმდებარე საკულტო დაწესებულებები და ისტორიული ძეგლები, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს და იღვწის ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი. სულ ახლახან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილება აღნიშნული ინსტიტუტის რექტორატის ინიციატივით მთლიანად გადავიდა ახალციხეში და დროებით დაიდო ბინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობაში. ამიერიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ყოველწლიურად ამ განყოფილებაზე ახალციხეში ისწავლის ასზე მეტი ახალგაზრდა.

მესხეთს თანდათან უბრუნდება ძველი ღირსება.

ელგუჯა კოპაძე
საკ. კორ.

შიდა ქართლი

რა ხდება სამაჩაბლოში?

ერთ კვირაზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც შიდა ქართლისა და სამაჩაბლოს ზოგიერთ რაიონში კომენდანტის საათი გამოცხადდა. მართალია, ამ ქართული პროვინციის ცენტრი — ქალაქი ცხინვალი, არც აქამდე გამოირჩეოდა დიდი მხიარულებითა და ღამის ქალაქური ცხოვრებით, მაგრამ ამ შობისწინა დღეებში თავისი ანგრეული, უსწორმასწორო, ჩაბნელებული გზებით, ცარიელი ქუჩებითა და გარეგნულად სავალალო მდგომარეობამდე მიყვანილი შენობებით სულ უფრო მეტად წააგავს ალყაში მოქცეულ ქალაქს. თუ ამას დავუმატებთ სურსათისა და საწვავის ნაკლებობას, შეიძლება იფიქრო, რომ შექმნილ სიტუაციას ომის პერიოდის აჩრდილი დაჰყვება თან. დღისით ქალაქში ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა, მუშაობენ საწარმოები და სასწავლებლები, მაღაზიები, ქალაქის მთავარ — თეატრალურ მოედანზე პატარ-პატარა ჯგუფებად თავს იყრიან ქალაქის მკვიდრნი და ზოგჯერ საკმაოდ თავშეუკავებლადაც გამოხატავენ გულისწყრომას რეგიონში შექმნილი მდგომარეობის გამო. შებინდებიდან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანებს მხოლოდ საპატრულო საგუშაგოებთან თუ მოჰკრავთ თვალს.

კომენდანტის საათის გამოცხადების პირველ დღეებში სამხედროებთან „დაძმობილებულ“ ქალაქის მკვიდრთა რიცხვი უფრო მეტი იყო. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფების ჯარისკაცებისა და ქალაქის, უმეტესწილად, ოსური მოსახლეობის ამგვარი „ინტერნაციონალური სიყვარული“ რამდენიმეჯერ საკმაოდ მტკივნეულად მოუბრუნდა ამ მხარის ქართულ მოსახლეობას. იყო შემთხვევები მათი უმიზეზო ფიზიკური შეურაცხყოფისა, მუქარისა, ლანძღვა-გინებისა. ამგვარი დამოკიდებულება ერთმა თბილისიდან მივლინებულმა ფოტოკორესპონდენტმაც იწვნია, როდესაც ცხინვალიდან გასასვლელ გზაზე მდებარე საპატრულო საგუშაგოზე შეეცადა სურათი გადაეღო კოცონთან მიმსხდარი ჯარისკაცებისა და რამდენიმე ოსი ეროვნების ახალგაზრდა კაცისათვის. რეაქცია იმდენად მძაფრი იყო, რომ მისი ფოტოკამერა დამსხვრევისაგან მხოლოდ შინაგანი ჯარების ოფიცრის გამოჩენამ იხსნა.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ქართულმა მილიციამ თითქმის ყველა საგუშაგოზე დაიკავა ადგილი, საგულდაგულოდ მოწმდება ყველა ავტომანქანა. თანდათანობით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების კონტროლს ექვემდებარება შიდა ქართლისა და სამაჩაბლოს ტერიტორია.

ცხინვალისა და ჯავის რაიონებში შემოღებული კომენდანტის საათის მეშვეობით ამ რეგიონში ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციას მივაღწიეთ, — განაცხადა ჩემთან საუბარში ქალაქის კომენდანტმა, მილიციის გენერალ-მაიორმა გივი კვანტალიანმა — რესპუბლიკისა და საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროების შეიარაღებულ ძალებს შორის სრული ურთიერთგაგება და კოორდინაციაა. აქ არსებული ვითარება ჩვენს კონტროლს ექვემდებარება. საპატრულო მორიგეობის ჯარების ქვედანაყოფებთან ერთად მილიციის სკოლის მსმენელები — კურსანტები ეწევიან.

კითხვაზე, თუ რა აზრისაა და როგორ აფასებს რეგიონში კომენდანტის საათის შემოღებას, ბატონმა გივიმ მოკლედ და ლაკონიურად მიპასუხა: ვეთანხმებით თუ არა რესპუბლიკის კანონიერი პარლამენტის გადაწყვეტილებას, იგი უნდა შესრულდეს, და ამ დადგენილების განხორციელებისათვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. რაც შეეხება კომენდანტის საათის გამოცხადებას, მიმაჩნია, რომ ოპერატიული ვითარების გასაუმჯობესებლად უკეთესი იქნებოდა მთელ რეგიონში გამოცხადებულიყო საგანგებო წესები. წარმოიდგინეთ, ბოლო კვირის მანძილზე არც ერთი ექსცესი არ ყოფილა. ადრე კი დღეში საშუალოდ ხუთი-ექვსი მძიმე დანაშაული ხდებოდა.

მოსახლეობაში სრული სიწყნარეა, თქვა მან შემდეგ. შესაძლოა ეს, ერთი მხრივ, აფეთქებისწინა სიმშვიდის შთაბეჭდილებას ქმნიდეს. თუმცა ამას ახლო მომავალი გასცემს უფრო ზუსტ პასუხს.

რაც შეეხება ცხინვალის ცენტრში დატრიალებულ ტრაგედიას, რომელმაც სამი ახალგაზრდა იმსხვერპლა, გარწმუნებთ, რომ მისი გამოძიება წარმატებით მიმდინარეობს და სულ მალე დამნაშავენი მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს კანონის წინაშე.

სიწყნარე და სიმშვიდე სუფევს ქალაქის მიმდებარე ქართულ სოფლებში. თამარაშენის მკვიდრნი უკვე შეეგუენ იმ აზრს, რომ „ფრონტისპირა სასაზღვრო“ ზონაში არიან. ტერორისტები პირველ დარტყმას სწორედ მათკენ მიმართავენ ხოლმე. მდგომარეობის გარკვეულწილად სტაბილიზაციამ აქაც ერთგვარი სიმშვიდე მოიტანა, თუმცა სოფლის მკვიდრნი მომავალში მაინც მოელიან კონფლიქტურ სიტუაციას. მათ მთავრობის მიერ კომენდანტის საათის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. იმასაც ამბობენ, საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ქვედანაყოფები ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნების პერიოდშიც იყვნენო ქალაქში. პირველი ჯავშანტრანსპორტიორები კომენდანტის საათის შემოღებამდე დისლოცირებული იყო ქალაქის ქუჩებში; მხოლოდ საგანგებო წესების გამოცხადების შედეგად მოხდა მათი საქართველოს პარლამენტისადმი დაქვემდებარება. დარწმუნებული არიან, რომ დროა კანონის დამცავი ორგანოები მთელი გულისყურითა და სერიოზულობით მოეკიდონ რეგიონის მოსახლეობიდან საბრძოლო იარაღის ამოღებას, იმ იარაღისა, რომელსაც კარგი არაფერი მოუტანია არც სოფლისთვის, არც ქართველებისა და არც ოსებისთვის. სოფლის ბავშვები უკვე შეეჩვივნენ სროლას, სიკვდილს, ცრემლს... დღემდე აქ, და არა მარტო აქ, არამედ მთელ საქართველოში მოსახლეობა გლოვობს და დასტირის ერთი წლის წინათ დაღუპულ ჩვიდმეტი წლის ჭაბუკს ვეფხია თუთარაშვილს, უაზრო ტერორიზმის მსხვერპლს. სოფელი კატეგორიული წინააღმდეგია თვითმოქმედი შეიარაღებული დაჯგუფების მიერ „წესრიგის დამყარებისა“, პიკეტებისა და ა. შ. ბარბაროსობას მხოლოდ ცივილიზებული მეთოდებით თუ დაუპირისპირდება კაცი. ვერავითარი „მხედრიონი“ და ლეგიონი ვერ დაძლევს აქ შექმნილ კრიზისს. ოსებიც ხომ გვარიანად არიან შეიარაღებული.

— ჩემი აზრით, რეგიონში შექმნილი კრიზისული ვითარების გადასაჭრელად რამდენიმე ხერხი არსებობს, — ამბობს სოფლის მკვიდრი, ქალაქ ცხინვალის მრეწვმშენბანკის მმართველი ბატონი ავთანდილ გოგიძე. — ალბათ ყველაზე მეტად მისაღებია რაიონში მოქმედი ტერორისტთა ჯგუფის, ასე 50-100-მდე ექსტრემისტის დაპატიმრება, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სიმშვიდეზე ლაპარაკი. ბავშვობიდან მოყოლებული კარგად მახსოვს ცხინვალში არსებული მეგობრული ატმოსფერო, აქ არასდროს არავითარი დაპირისპირება არ ყოფილა. ბოლო დროს ვითარება საგრძნობლად გაუარესდა. ქართველ კაცს ცხინვალში აღარ დაედგომება. ქართულად ლაპარაკისთვის ფიზიკური შეურაცხყოფაც კი შეიძლება მოგაყენონ. ქართულ თეატრში პრემიერის ანდა სპექტაკლის ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ შეიარაღებული დაცვის პირობებში. ცხინვალის ქართველი მოსახლეობა დაშინებულია, არ ვიცი, როდემდე გასტანს ასეთი ვითარება.

ისევ ცხინვალი. ქალაქში დაბრუნებისას კვლავ საგულდაგულო შემოწმება, შუაახნილი რიგითი ჯარისკაცების ნაძალადევი ღიმილი. ქალაქი მართლაც საჭიროებს, ალბათ, ამგვარ დაცვას, ვინიცობაა არაფერი დაუშავდეს ქალაქის ცენტრში აღმართულ უზარმაზარ თავს... ვლადიმერ ულიანოვის ბიუსტს. თვითმხილველები ამბობენ, როდესაც ამას წინათ ქალაქში ხმა დაირხა ქართველი ექსტრემისტები დიდი ბელადის ძეგლის ჩამოგდებას აპირებენო, „სოციალისტური იდეების ერთგული მოქალაქენი“ ფეხზე დადგნენ, წითელი დროშებიააფრიალეს და ორ დღეღამეს დარაჯობდნენ მსოფლიო ხალხების „გამაბედნიერებელს“. თანაც ირწმუნებოდნენ, ჩვენ წითლებად დავიბადეთ და წითლებად დავიხოცებითო. ასეთი ერთგულება, ალბათ, ალბანელ კომუნისტს რამიზ ალიასა და დიდ ფიდელ კასტროსაც კი შეშურდებოდათ.

როცა გამოდიხარ ცხინვალიდან ნაცრისფერი, უსახო ბეტონის გარეუბნების გავლით როკის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე, უეცრად ხვდები წლის ამ დროისათვის დამახასიათებელი პატარ-პატარა უფოთლო ტყეებისა და ლამაზი მთების სამკვიდროში. ბუნების სიმყუდროვეს დროდადრო ნელი სვლით მიმავალი ჯავშანტრანსპორტიორები არღვევენ, რომელთაც ტანმორჩილი ჯარისკაცები მართავენ. ჯავის რაიონში პირველსავე საგუშაგოზე უკვე ქართველი მილიციელები ან მილიციის სკოლის კურსანტები გვხვდებიან. საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების შენაერთებთან ერთად მიმდინარეობს ავტომანქანების, სხვა სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება. სულ ამ რაიონში ოთხი საგუშაგო მოქმედებს, რომლებსაც რეგულარულად ქალაქ ცხინვალის კომენდანტი ბატონი გივი კვანტალიანი პირადად ამოწმებს. თვით ჯავაში კი ერთ სამხედროსაც ვერ მოჰკრავთ თვალს. გასაკვირი, ალბათ, არაფერია, აქ აბსოლუტურ უმრავლესობას ოსური მოსახლეობა წარმოადგენს და, როგორც ჩანს, მათ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვთ. ირგვლივ გასაოცარი სიმშვიდეა. და აი, რაიონის ბოლო საგუშაგო, როკის გვირაბიდან თორმეტი კილომეტრის მოშორებით. რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის ამ სამმართველოს სპეცჯგუფთან ერთად უკვე შეუდგა მორიგეობას.

— მეორე დღეა, რაც აქ ვართ, — თქვა ლეიტენანტმა ამირან ულენტმა, — ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია ჩვენს ჩამოსვლას. პირიქით, ოსური სოფლიდან ამოსულმა დელეგაციამ მოგვთხოვა დაგვეტოვებინა ეს ადგილი — ღიმილით განაგრძო მან. დავალებული გვაქვს საგულდაგულოდ შევამოწმოთ ნებისმიერი ტრანსპორტი, რათა აღვკვეთოთ იარაღის თუ სურსათის უკანონო შემოტანა-გატანა რესპუბლიკის ფარგლებიდან.

ცხინვალსა და მის შემოგარენში ცხოვრება გრძელდება, მდგომარეობა კვლავ ფეთქებადია... გადაიქცევა თუ არა ცხინვალი „ქართულ ოლსტერად“, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

პაატა ცინცაძე,
საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ სპეციალური კორესპონდენტი.

ცხინვალი-ჯავა-თბილისი.

საზღვარგარეთ

ელცინი: ვიღაცას ძლიერი ხელისუფლება სჭირდება

მოსკოვი. „ნათლად მინდა გამოვხატო ჩემი პოზიცია, რომელიც შეთქმულებაზე ლაპარაკთან არის დაკავშირებული. ეს, რასაკვირველია, მდგომარეობის დაძაბვისათვის მოიგონეს. ვითომდა ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება გვჭირდება, მხოლოდ მას შეუძლიაო წესრიგის დამყარება“, — განუცხადა ბ. ელცინმა ჟურნალისტების ჯგუფს, რომლებიც სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობას აშუქებენ.

უპასუხა რა კითხვაზე, დაუჭერს თუ არა მხარს გორბაჩოვს, თუ იგი ყველამ მიატოვა, ბ. ელცინმა უპასუხა: „ყრილობაზე კვლავ გაისმა — გაუწოდოთ ხელები, თორემ ფეხებს გავუშიკავთო. ყური უნდა მივუგდოთ იმას, თუ რას მოითხოვს ხალხი“.

დაისვა კითხვა: როგორ აისახება შევარდნაძის წასვლა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონიდან, ხომ არ გაიმეორა მან ელცინის გზა? „იქნებ შევარდნაძე ვარაუდობდა კიდეც ასე, მაგრამ ეს არ გამოვა არც დროის და არც პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით. ვფიქრობ, მან მაინც შეცდომა დაუშვა“ — უპასუხა რუსეთის ხელმძღვანელმა.

გამზადებული არიან საბრძოლველად

ვაშინგტონი. კვირას გვიან ღამით დასრულდა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის რიჩარდ ჩეინის მორიგი მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთში.

პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, რ. ჩეინი ეწვია ზოგიერთ ამერიკულ ნაწილსა და შენაერთს, რომლებიც „უდაბნოს ფარის“ ოპერაციაში მონაწილეობენ.

უკანა გზაზე რ. ჩეინი შეჩერდა კაიროში, სადაც ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს შეხვდა და ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციის შეწყვეტის პრობლემებზე ესაუბრა. მინისტრს თან ახლდა აშშ შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი კოლინ პაუელი. ვაშინგტონში დაბრუნების შემდეგ რ. ჩეინი ანგარიშს ჩააბარებს პრეზიდენტ ჯ. ბუშს.

მინისტრის მოგზაურობის კომენტარისას ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ იგი გაიმართა 15 იანვრის, ანუ იმ თარიღის მოახლოებასთან დაკავშირებით, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ ერაყის ჯარების ქუვეითიდან გაყვანის უკიდურეს ვადად დაასახელა. ხაზს უსვამენ, რომ მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო ამერიკის ჯარების საბრძოლო ნაწილებისა და შენაერთების საშუალებებისა და მზადყოფნის განსაზღვრა. როგორც რ. ჩეინიმ დაბრუნებისთანავე განაცხადა, ოპერაციაში მონაწილე ამერიკული ჯარები „უკვე დღეს უნდა იყვნენ მზად საბრძოლო მოქმედებისთვის, თუ ჩვენ ამის ბრძანებას მივიღებთ“.

იაპონიის ქალაქ არიტაში (საგას პრეფექტურა) გამოფენილია უნიკალური ვაზა, რომელიც კერამიკის ადგილობრივმა ოსტატებმა დაამზადეს. იგი 1878 წელს ვენაში აუქციონზე გაიყიდა და მას შემდეგ ლონდონში, კერძო კოლექციაში ინახებოდა. იაპონურმა ფირმამ „ართ გელერი სიობიდო ლიმითედმა“ ხელოვნების ეს ნაწარმოები 100 მილიონ იენად გამოისყიდა და სამშობლოში დააბრუნა.

კიოდო-საკდესის ფოტო.

რიჟკოვი ხუმრობს

„**შევარდნაძის** გადადგომა ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ქვეყნის საგარეო კურსზე“ — განაცხადა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას, როცა საქმე შეეხო ამ არაორდინალურ მოვლენას ყრილობის ფარგლებში. მან განმარტა, რომ საქმე ეხება არა ერთი ადამიანის, არამედ საბჭოთა კავშირის მთელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის კურსს. „თუ ჩვენ პოლიტიკას ისე წარვმართავთ, რომ მივუსადაგოთ „გარკვეულ პირებს“, იგი მეტისმეტად დახლართული იქნება. ეს ჩვენი სახელმწიფოს, მთელი ხელმძღვანელობის კურსია, და დარწმუნებული ვარ, ამ კურსიდან არ გადავუხვევთ“.

შეეხო რა საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომის მეთოდს, ნიკოლოზ რიჟკოვმა იგი „უჩვეულოდ“ მიიჩნია. „არის გადადგომის გარკვეული პროცედურა, და კარგი იქნებოდა ამით ესარგებლა. თორემ კრიტიკას თუ ავყვებით, მე უკვე დიდი ხანია თავი უნდა ჩამომეხრჩო, — დასძინა მან დამსწრეთა სიცილში —გარდა ამისა, ორი პოლკოვნიკის წერილის გამო არ დავიწყებდი განზოგადებას იმის თაობაზე, რომ დიქტატურა გველის. გველის ქაოსი, და პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, უნდა დავამყაროთ ელემენტარული წესრიგი.

ორმხრივი განცხადებები

ისლამაბადი. პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ნავაზ შარიფმა დაადასტურა, რომ არ იცვლება მისი ადმინისტრაციის კურსი ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატებში მოქმედი მუსლიმანური სეპარატისტული დაჯგუფებებისათვის მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერის საკითხში.

კვირას ქალაქ ლაჰორში პაკისტანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ „ისლამაბადი მხარს უჭერს ქაშმირში პლებისციტის მოწყობას, რომლის დროსაც ქაშმირელებმა უნდა მიიღონ თვითგამორკვევის უფლება“.

იმავე დღეს ინდოეთთან ურთიერთობის საკითხებზე გამოსვლისას სენატში პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. იაკუბ ხანმა ხაზი გაუსვა სიფრთხილის შენარჩუნების აუცილებლობას იმის გამო, რომ გრძელდება ინდოეთის ჯარების კონცენტრაცია ქაშმირში კონტროლის ხაზზე. მინისტრმა განაცხადა, რომ გასულ კვირას ისლამაბადში გამართულ მოლაპარაკებაზე ვერ შეთანხმდნენ კონტროლის ხაზიდან ჯარების გაყვანის თაობაზე, რაც არ უწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის ნდობის განმტკიცებას.

დელი. პაკისტანის ხელმძღვანელების განცხადებების კომენტარისას პტი-ის სააგენტომ მიუთითა, რომ მათ კვლავ უგულებელყვეს ინდოეთის წარმომადგენელთა არაერთი განცხადება, რომ ქაშმირი რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და სეპარატისტების გააქტიურების ნებისმიერი მხარდაჭერა ქვეყნის საქმეებში უხეშ ჩარევას წარმოადგენს.

პრეზიდენტი შეშფოთებულია

ვენა. საბჭოთა კავშირში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ეს განაცხადა ავსტრიის ფედერალურმა პრეზიდენტმა კურტ ვალდჰაიმმა ინტერვიუში, რომელიც გაზეთმა „პრესსემ“ გამოაქვეყნა. მისი თქმით, დიდ შეშფოთებას იწვევს „საბჭოთა კავშირში დეზინტეგრაციის პროცესი“. საბჭოთა კავშირში შექმნილი სიტუაციის სერიოზულობას მოწმობს საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის განცხადება გადადგომის შესახებ, აღნიშნა პრეზიდენტმა.

შეეხო რა ავსტრიის რესპუბლიკაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან იმიგრანტების მოძალების პრობლემას, ვალდჰაიმმა მხარი დაუჭირა „ამ სფეროში საკონტროლო ზომების გაძლიერებას“. ავსტრიას არ ძალუძს დაუბრკოლებლად მიიღოს ახალი ლტოლვილები, თქვა მან, და დასძინა, რომ „აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის ყველგან მოქმედებს სავიზო რეჟიმი“.

ვაშინგტონმა გამოაცხადა, რომ საუდის არაბეთში გაიზრდება ამერიკის ჯარების რაოდენობა. მაშინ მრავალეროვნული ძალები მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ერაყის ჯარების რაოდენობას.

„აშშ კონტინგენტის მომავალი გაძლიერება 200 ათასი სამხედრო მოსამსახურით 1991 წლის იანვრის შუა რიცხვებისთვის, აღნიშნავს სააგენტო, — იქ დაბანაკებული ამერიკული ნაწილების და ქვეგანაყოფების საერთო რიცხობრიობას დაახლოებით 450 ათას კაცამდე გაზრდის“. ამას უნდა დაემატოს მრავალეროვან ძალებში შემავალი ქვეყნების ჯარების საერთო რიცხობრიობა — დაახლოებით 150 ათასი. „როგორც ამბობენ, ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის განკარგულებაშია, შენიშნავს სააგენტო, 450 ათასი სამხედრო მოსამსახურე „ოკუპირებულ ქუვეითში და ერაყის სამხრეთ რაიონებში“.

სურათზე: იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალები სპარსეთის ყურეში.

ანსა-საკდესის ფოტო.

ამინდი სიურპრიზს უმზადებს

ნიუ-იორკი. სიურპრიზებს უმზადებს ამინდი ამერიკელებს შობის წინ. ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში არნახული სიცივეებია. მაგალითად, კალიფორნიის ციტრუსის ბაღებში ფორთოხლის ხეების ტოტები დახუნძლულია არა მარტო მწიფე ნაყოფით, არამედ... ლოლუებითაც. ამავე დროს ქვეყნის დანარჩენ მესამედ ტერიტორიაზე მისი აღმოსავლეთი სანაპიროს გაყოლებით მზე ისე ანათებს, გეგონება გაზაფხულიაო. ნიუ-იორკში საქმე იქამდე მივიდა, რომ ცენტრალურ პარკსა და ჰუდზონის სანაპიროზე გასულ შაბათ-კვირას... ალუბალი აყვავდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებით, ყველაზე დაბალი ტემპერატურა კვირას რეგისტრირებული იყო ქალაქ კრეიგში (კოლორადოს შტატი), სადაც ვერცხლის წყლის სვეტი 33 გრადუსზე ქვევით დაეშვა. ქალაქ ალბუკერკში (ნიუ-მექსიკოს შტატი) კვირას იყო დაახლოებით მინუს 18 გრადუსი ცელსიუსით — ქალაქის ისტორიაში პირველი მინუსური ტემპერატურა დეკემბერში. ამავე დროს ამერიკის დედაქალაქში თერმომეტრი ნაშუადღევს უჩვენებდა დაახლოებით 20 გრადუსს. ასეთივე ტემპერატურა იყო დაფიქსირებული ნიუარკში (ნიუ-ჯერსის შტატი).

ამინდის ჭირვეულობა ძვირად უჯდება ქვეყანას. გასული სამშაბათიდან, როცა ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ ჩრდილო-დასავლეთიდან წამოვიდა სუსხიანი არქტიკული ჰაერი, რეგისტრირებულია ადამიანთა დაღუპვის სულ ცოტა 60 შემთხვევა უჩვეულო მეტეოროლოგიური პირობების შედეგად.

ტელეტაიპის ლენტიდან

სოფია. „ტოდორ ჟივკოვი კისრულობს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ჩადენილი პოლიტიკური დანაშაულისათვის“. მაგრამ „დარწმუნებულია, რომ არ დაურღვევია კანონები და არ უნდა დაისაჯოს“. ასე ამბობს, როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რუსეს გაზეთ „უტროს“ ფურცლებზე ბულგარეთის ყოფილი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელის ადვოკატი დანიელა დოკოვსკა.

ცოტა ხნით ადრე ბულგარეთის მთავარი პროკურატურა იუწყებოდა, რომ ტ. ჟივკოვისა და ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელობის მეორე წევრის მილკო ბალევის საქმის გამო მომზადებული ბრალდებით დასკვნა სასამართლოს გადაეცა. მათ წაყენებული აქვთ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, დიდი ფულადი თანხების უკანონო მითვისებისა და გაფლანგვის ბრალდება.

ბუდაპეშტი. სახელმწიფო საზღვრის ათი დამრღვევიდან ერთი მაინც ახერხებს არალეგალურად შემოაღწიოს უნგრეთის ტერიტორიაზე და თავიდან აიცილოს ადგილობრივ მესაზღვრეებთან უსიამოვნო შეხვედრა. ასეთი სურათი იკვეთება უკანასკნელი თვეების მანძილზე უნგრეთის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებიდან.

ბუნებრივია, რომ საქმის ამგვარმა ვითარებამ უნგრეთის კომპეტენტური ორგანოების წინაშე დასვა სახელმწიფო საზღვრის დაცვის კანონის შემუშავების საჭიროება. ამ საკანონმდებლო აქტის ერთ-ერთი დებულება ითვალისწინებს უნგრეთში ახალი გვარეობის ჯარების — სასამსახურო სასაზღვრო დაცვის შექმნას. ეგრეთ წოდებული მწვანე საზღვრისადმი კონტროლის გარდა ეს სამსახური შეასრულებს ადმინისტრაციულ ამოცანებს, დაიცავს ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს და ამასთანავე გადაწყვეტს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ქვეყანაში არალეგალური შესვლის თავიდან აცილების ღონისძიებებს უნგრეთში ახორციელებენ მიმდინარე წლის ოქტომბრის დამდეგიდან. კომპეტენტური ორგანოების მონაცემებით, ამ პერიოდში პრაქტიკულად საქმიანობა შეწყვიტეს პირებმა, რომლებსაც არალეგალურად გადაჰყავდათ ხალხი საზღვარგარეთ. ამავე დროს სტაბილური გახდა ვითარება უნგრეთის გამტარ სასაზღვრო პუნქტებში, რომელთა გავლით ამა წლის ნოემბრის დამლევამდე ცდილობდა არალეგალურად მოხვედრილიყო ქვეყნის ტერიტორიაზე 62 ქვეყნის 13 ათასი მოქალაქე.

ნიუ-იორკი. 50-ზე მეტი ქვეყნის 500-ზე მეტმა ფირმამ სცადა დაერღვია საერთაშორისო ემბარგო, რომელიც ერაყის წინააღმდეგ არის შემოღებული ქუვეითში მის შეჭრასთან დაკავშირებით. ჟურნალ „ნიუსუიკის“ მონაცემებით, დამრღვევთა სიას მეთაურობენ გერმანიისა და იორდანიის ფირმები.

სადაზვერვო მონაცემების საფუძველზე იუწყებიან, რომ საბრძოლო ტექნიკის სათადარიგო ნაწილებს ერაყი იღებს ლიბანიდან, რომელიც მათ სირიის გავლით გზავნის.

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სააგენტოს მონაცემებით, ხელთ იგდეს ევროპის ფირმების მისამართით გაგზავნილი ერაყის რამდენიმე დაშიფრული დეპეშა, რომლებშიც ითხოვენ ბაღდადში გაგზავნონ იორდანიის ერთი კომპანიის მეშვეობით ერაყისათვის საინტერესო საჭირო საქონელი.

ტოკიო. ქვეყნის მცხოვრებთა დაახლოებით ნახევარს მიაჩნია, რომ იაპონიის ატომური ელექტროსადგურები საკმარისად უსაფრთხო არ არის. ამას მოწმობს კვირას გამოქვეყნებული საერთო ეროვნული გამოკითხვის შედეგები, რომელიც სექტემბერში მოაწყო პრემიერ-მინისტრის კანცელარიამ.

იმათმა რიცხვმა, ვინც შეშფოთება გამოთქვა ატომურ სადგურებში ელექტროენერგიის წარმოების გამო, შეადგინა 90,2 პროცენტი, რაც 4,3 პროცენტით აღემატება შარშანდელი გამოკითხვის დროს დაფიქსირებულ შესაბამის მაჩვენებელს. 46,8 რესპოდენტმა ატომური ელექტროსადგურები საკმარისად უსაფრთხოდ არ მიიჩნია.

ამავე დროს, 43,8 პროცენტმა განაცხადა, რომ იაპონიის ატომური ელექტროსადგურები უსაფრთხოა. გამოკითხვის მონაწილე 64,5 პროცენტმა კი გამოთქვა აზრი, რომ ატომური სადგურები საჭიროა ენერგიაზე მოთხოვნის ზრდის პირობებში.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა თქვა, რომ ბირთვული რეაქტორები ელექტროენერგიის მთავარი წყარო იქნება მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში.

გასულ პარასკევს გამოქვეყნებული მთავრობის „თეთრი წიგნი“, რომელიც ეხება ატომურ ენერგეტიკას 1990 წელს, იაპონიის ატომურ ელექტროსადგურებს უწოდებს უაღრესად საიმედოს იმის მეოხებით, რომ ქვეყანაში მკაცრი მოთხოვნებია მათი უსაფრთხოებისადმი. იაპონიის ატომურ ელექტროსადგურებში სერიოზული ავარიის წარმოქმნის შანსი, ნათქვამია დოკუმენტში, უდრის ერთს 100 ათასზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი, მაგალითად, შესაბამის მაჩვენებელს აფასებენ როგორც ერთს 10 ათასზე.

ამჟამად, იუწყება კიოდო ცუსინის საინფორმაციო სააგენტო, იაპონიაში 38 მოქმედი ატომური ელექტროსადგურია, რომელთა წილად მოდის ამ ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის 26 პროცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიისათვის

უმდიდრესი მემკვიდრეობის მცირედი ნაწილი

გასული საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნული კულტურის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნიკო ნიკოლაძეს, რომლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი სცილდება მშობლიური ქვეყნის ფარგლებს. სხვადასხვა დროს იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პეტერბურგში, ლონდონში, ჟენევაში, პარიზში. იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ასე მაგალითად, ნიკო ნიკოლაძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ნ. ჩერნიშევსკისთან და მისი პატივისცემა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შეინარჩუნა. იგი ახლოს იცნობდა ა. გერცენსა და თანამშრომლობდა მის „კოლოკოლში", მიმოწერა ჰქონდა ვ. ჰიუგოსთან, პ. ლაფარგთან და ა. დოდესთან. მეგობრობდა გ. უსპენსკისა და პლეშჩეევთან, მ. ანტონოვიჩსა და ნ. მიხაილოვსკისთან, ეკამათებოდა ლუი ბლანსა და მ. ბაკუნინს.

სარატოვის ციხიდან ჩერნიშევსკის განთავისუფლების თაობაზე მას მოლაპარაკება ჰქონდა ვორონცოვ დაშკოვსა და შუვალოვთან. ეს მოლაპარაკება დადებითად გადაწყდა — ჩერნიშევსკის განთავისუფლების დოკუმენტი ნიკო ნიკოლაძეს გადასცეს და მანვე ჩაიყვანა იგი სარატოვიდან პეტერბურგში.

თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილისა და მოღვაწის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი კი ასეთია: პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1864 წლის შემოდგომაზე იგი დასავლეთ ევროპაში მიემგზავრება. აქ იგი რუსეთის ემიგრანტ რევოლუციონერთა შორის ტრიალებს, ცხოვრობს პარიზში, ჟენევაში, ციურიხსა და ლონდონში. სწავლობს სორბონის უნივერსიტეტში (სორბონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნიკო ნიკოლაძე ციურიხის უნივერსიტეტში გადავიდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1868 წელს). სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება უაღრესად საყურადღებო სტატიები საქართველოს შესახებ, რომლებიც მან, გერცენის დავალებით „კოლოკოლისათვის" დაწერა: „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", „ჩვენი მომავალი ვექილები", „მოსკოვის უწყების სამსჯავროს წინაშე", „ივნისის დღეები თბილისში".

1866 წელს, ჟენევაში, რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის შრომა: „მთავრობა და ახალი თაობა" (გ. ნიკიფოროვის ფსევდონიმით), რომელიც ახალი თაობის პოლიტიკური პროგრამის ზოგიერთი მხარის განხორციელების ცდას წარმოადგენდა. კერძოდ, ამტკიცებდა, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობილება მოძველდა, ის აღარ შეეფერება საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებს, ამიტომ საჭიროა მისი გარდაქმნაო.

ნიკო ნიკოლაძე ენერგიულად მოითხოვდა დესპოტიზმის განდევნას სახალხო განათლების სისტემიდან და გადაჭრით მოითხოვდა: ხალხს, როგორც კაცებს ისე ქალებს, მისცემოდათ უფასო განათლების უფლება და სწავლის შესაძლებლობა.

თუ თავადაზნაურობა გონიერებას გამოიჩენს და თავის უკანონო მოქმედებას შეიგნებს, შეიძლება საქმე უმსხვერპლოდ დამთავრდეს, თუ არა და გლეხობას მეტის ატანა აღარ შეუძლია და სრული საბაბი აქვს, ძალადობას მიმართოსო, დაასკვნიდა იგი.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულის დიდ დამსახურებად უთუოდ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან შეძლო 1868 წელს, ჟენევაში დაესტამბა ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი სრული გამოცემის პირველი ტომი, თუმცაღა სახსრების სიმცირისა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო, პირველი ტომი ძალზე მცირე ტირაჟით გამოვიდა — სულ 1 320 ეგზემპლარი.

აღსანიშნავია ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობა „სოვრემენნიკთან", სადაც „საკანდელის" ფსევდონიმით ფრიად საყურადღებო რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა — აგრარული რეფორმის, პრუდონის წიგნის „ომი და ზავის", ზიბელის თხზულების „საფრანგეთის რევოლუციის" შესახებ. ცენზურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნიკო ნიკოლაძის წერილებს. ნიკო ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ „კოლოკოლისა" და მისი ჯგუფის მოღვაწეობის ეპოქა დამთავრებულია. იგი ახალი თაობის იდეურ მედროშედ ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვს და ილია ჭავჭავაძეს აღიარებდა.

ნიკო ნიკოლაძის ფრანგულ ენაზე დაწერილმა სადოქტორო დისერტაციამ ფრიად აქტუალურ თემაზე: „განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები", რომელიც მან 1888 წელს ციურიხის უნივერსიტეტში წარადგინა, ყველა ოპონენტის გული მოიგო და ავტორს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭეს.

თავის დისერტაციაში იგი არჩევდა ომებისა და განიარაღების პრობლემებს, მაგრამ ომს წმინდა სამხედრო თვალსაზრისით არ განიხილავდა, უდგებოდა, როგორც პოლიტიკურ მოვლენას. არ უკავშირებდა მას კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, რადგან არ ანსხვავებდა თანამედროვე ომებს წარსულის ომებისაგან. თავისი შინაარსის მიხედვით, — ამბობდა ნ. ნიკოლაძე, — არსებობს ორგვარი ომი: სამართლიანი და უსამართლო. ყოველი ომი, რომელიც მიმართულია სხვისი ტერიტორიისა და ხალხის დასაპყრობად და დასამონებლად, უსამართლო, რეაქციული ომია, ხოლო ომი, რომელიც იცავს თავისი ხალხისა და სამშობლოს ინტერესებს, სამართლიანი, პროგრესული ომია.

ნიკო ნიკოლაძეს უდიდესი ღირსების საქმედ მიაჩნდა სამშობლოს თავდაცვითი ომი. ამასთან, მისი განმარტებით, ომი ყოველთვის გულისხმობს ძალადობას, მასში არ შეიძლება ჰუმანური პრინციპით მოქმედება. ადამიანი თავისი ბუნებით მეომრად არ იბადება, მას ცხოვრების მანძილზე გამოუმუშავდება უარყოფითი ან დადებითი მიდრეკილება ომისადმი. ომს ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები განაპირობებს. აქედან, ნიკო ნიკოლაძის აზრით, სოციალური, ან სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილი ომი უფრო საშიშია საზოგადოებისათვის, ვიდრე ომი სახელმწიფოთა შორის, რადგან ეს უკანასკნელი პერიოდულია, დროებითი ხასიათისა, რაც შეეხება სოციალურ ომს, ეს არის ნელი და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც თანდათან ფიტავს და სპობს ადამიანს. ომები ანადგურებენ მეცნიერებას, კულტურას, ხელოვნებას, აფერხებენ განათლების განვითარებას, რაც მთავარია — ადამიანებს, ამას ადასტურებს ისტორია.

ომი მოითხოვს კარგად გაწვრთნილ ჯარს და დიდ სამხედრო ტექნიკას, რომლის შესანახად უამრავი თანხა იხარჯება. ნიკო ნიკოლაძე თავის სადისერტაციო შრომაში ასახელებს კონკრეტულ ციფრებს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უზარმაზარი სახსრები მიჰქონდა მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ევროპაში სამხედრო აპარატისა და ჯარის შენახვას, რაც მძიმე ტვირთად აწვება მხოლოდ მშრომელ ადამიანებს და არა მთავრობის მესვეურებსო. ამავე დროს, სახელმწიფოს არსებობას რომ აანალიზებს, ნიკო ნიკოლაძე ამბობს: რა მძიმე ტვირთიც უნდა იყოს ჯარის შენახვა საზოგადოებისათვის, მისი არსებობა აუცილებელია სახელმწიფოს ძლიერებისათვის და მის ღასაცავად, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება იმ დღესვე დაკარგავს ძლიერებას, რა დღესაც მოშორდებოდა მისი მთავარი ძალა, ე. ი. მუდმივი ჯარის სისტემა. არც სახალხო მილიციის შექმნას, არც სათადარიგო ნაწილებს არ შეუძლია შეცვალოს მუდმივი ჯარის როლი და ამოცანაო, თუმცა სათადარიგო ჯარისა და სახალხო მილიციის შემოღება ნიკო ნიკოლაძეს განიარაღების დასაწყისად მიაჩნია.

მშვიდობის განხორციელების მატერიალური საფუძველი, გვეუბნება იგი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა შემუშავდეს. უამისოდ ყოველგვარი პროექტი და მსჯელობა განიარაღებისა და მშვიდობის შესახებ განუხორციელებელ ოცნებად დარჩება. ასეთ შემუშავებას და საფუძვლიან ანალიზს, ეპოქის კანონზომიერების შესატყვისად, საფუძვლად უნდა ედოს საზოგადოებრივი აზრის ტრიბუნა, რაც საბოლოო მოლაპარაკების ნიადაგს მოამზადებს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც დღეს თუ ხვალ, დანგრევა-დამონებას უპირებენ ერთიმეორეს. მშვიდობის პრობლემებს ეხებოდნენ პაციფისტებიც, გვეუბნება ნიკო ნიკოლაძე, რომელთა აზრით, სახელმწიფოთა შორის ყოველთვის შეიძლება საერთო ენის გამონახვა, მათი ინტერესების შერიგება, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი საშუალებით, მოლაპარაკებით, სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების დადებით. პაციფისტებს შესაძლებლად მიაჩნდათ ცივილიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს შიგნით სოციალური ზავის დამყარება.

ამ დისერტაციამ საკმაო ხმაური გამოიწვია დასავლეთ ევროპის მეცნიერთა შორის და მის ავტორს აღიარება მოუტანა.

ძველისა და ახლის ბრძოლის პროცესში წარმოიშვა პროგრესულ-დემოკრატიული მიმდინარეობა „მეორე დასის" სახელწოდებით. ამ დასის ერთ-ერთი ფუძემდებელი და იდეოლოგი იყო ნიკო ნიკოლაძე, რომელიც იცავდა გლეხობის ინტერესებს და აქტიურად იბრძოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ნიკო ნიკოლაძის პრაქტიკულმა და ლიტერატურულმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული პროგრესული აზროვნების განვითარებას.

ნიკო ნიკოლაძე ენერგიულად ილაშქრებდა წოდებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ, ამტკიცებდა, რომ ადამიანები თავისი ბუნებით თანასწორუფლებიანი იბადებიან, მაგრამ მათ შორის უთანასწორობას საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართი პირობები წარმოშობს, თუ გსურთ მოსპოთ ადამიანთა უუფლებობა, ბოროტება და ავკაცობა, უნდა გარდაქმნათ ის გარემო, რომელიც ყოველგვარი უბედურების სათავეა.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, საზოგადოებაში არსებობს კეთილიც და ბოროტიც, არსებობს კონკრეტულად და არა საზოგადოდ. ასე, მაგალითად, კეთილია სპეტაკი იდეის განხორციელებისადმი მისწრაფება, საზოგადოების ზნეობრივი ამაღლების, მისი გათვითცნობიერებისა და განათლებისათვის ზრუნვა, ბოროტი კი არის ადამიანის მხეცური მისწრაფება გამდიდრებისაკენ. მხოლოდ ჩამორჩენილი საზოგადოებრივი აზრი ვერ ამჩნევს განსხვავებას მათ შორის, საზოგადო აზრში, — წერდა ნიკო ნიკოლაძე, — დაკარგული იყო ნათელი გარჩევა კეთილსა და ბოროტს შუა. ბოროტის გარჩევა კეთილისაგან შეიძლება შეგნებით, მეცნიერების დაუფლებით, ეს კი მოითხოვს ტვინის უჯრედების ვარჯიშს, რისთვისაც აუცილებელია შრომა და მტკიცე ნებისყოფაო.

ნიკო ნიკოლაძე გვაძლევს ისტორიაში პიროვნების როლის მატერიალისტური გაგების შესანიშნავ ცდას, ილაშქრებს ისტორიაში სუბიექტივიზმის წინააღმდეგ და მიუთითებს, რომ ისტორიას მასები ქმნიან, „ხალხი ხომ, — წერდა იგი, — ისტორიის პირველი მოქმედი პირია და რანაირად დაიწერება ისტორია, თუ მის პირველ მოქმედ პირზე ჩვენ სრულიად არაფერი გაგება არა გვაქვს". იგი მიუთითებს მასების ქმედით როლზე ისტორიაში, ამავე დროს, არ გამორიცხავს პიროვნების როლს. იგი იმ აზრისა იყო, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის ერთნაირად საჭიროა როგორც მასები, ისე გენიოსები, ტალანტები. გენიოსები მასების გარეშე, მასები კი გენიოსების გარეშე, უძლურნი არიან. მან კარგად იცოდა, რომ „პიროვნებაზე დიდად არის დამოკიდებული კაცობრიობის უკეთესი მომავალი. ადამიანთა შორის არიან ისეთნი, ვინც თავიანთი გონივრული განვითარებით საზოგადოებაზე ბევრად მაღლა დგანან, რომელთა იდეები საზოგადოებაში სახელმძღვანელო იდეებად გვევლინებიან. გონიერი ადამიანები საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოვლენებს, საგნებს უცქერიან არა როგორც მუდმივს, გარდუვალს, მათ ფეტიშად არ სახავენ (საგნებისა და მოვლენების ფეტიშად აღიარება უვიცობისა და უვიცობის მაჩვენებელია), უწინდელ დროში, ღრმა და ბნელ ძველობაში, კაცს ყოველი საგანი, ყოველი საქმე სამუდამოდ, შეურყევლად, საკვირველ-მოქმედათ, თითქმის ღმერთად მიაჩნია. იმას ყველაფრის ეშინოდა, ყველას ერიდებოდა, და მისი შეშინებული გონება ვერასდროს ვერ ბედავდა, რამე გაუმჯობესების შემოღებას, რომ ამით თავის სიცოცხლის სიძნელე შეემსუბუქებინა.

ნიკო ნიკოლაძე ეწეოდა დემოკრატიული იდეებით პროპაგანდას ერთა თანასწორუფლებიანობის, პიროვნების, სიტყვის, პრესის თავისუფლებისათვის. მოითხოვდა თვითმმართველობისა და წარმომადგენლობითი არჩევნების შემოღებას.

იგი საზოგადოების განვითარებაში დიდ როლს ანიჭებდა იდეას. რაკი იდეა წარმოიშვება და ხალხში შევა, ამბობდა ნიკო ნიკოლაძე, ის უკვალოდ არ დაიკარგებაო. იდეების გასავრცელებლად მას უდიდეს იარაღად პრესა მიაჩნდა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ მოწინავე ჟურნალ-გაზეთებში, ზოგჯერ უცხოეთის პრესაშიც, ამასთან, თავის ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ახამებდა დიდ პრაქტიკულ საქმიანობასთან. იგი ინიციატივიანი და მრავალმხრივი ორგანიზატორული ტალანტით დაჯილდოებული უგანათლებულესი ადამიანი იყო. მისი პროგრესული შეხედულებები, როგორც ამ წერილიდანაც ნაწილობრივ მაინც ჩანს, შესანიშნავად ეხმიანებიან ჩვენი თანამედროვის აზრებსა და პრობლემებს, მის მისწრაფებებს მშვიდობისა და განიარაღებისათვის, ქვეყნად სიკეთისა და თანასწორობის დამკვიდრებისათვის.

და ეს ხომ, მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილია ნიკო ნიკოლაძის — თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილის უმდიდრესი ბიოგრაფიისა და მოღვაწეობისა...

შოთა ლეკვეიშვილი

სპორტი

პრეს-მერიდიანი

გრაფი შეყვარებულია?

შტეფი გრაფი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალია და ძალზე მდიდარიც თავისი საოცარი ოსტატობის წყალობით. 21 წლის გოგონას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, თვითონ კი, როგორც ჟურნალ „შტერნის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, განდეგილ ცხოვრებას ამჯობინებს. თუმცა ჯობს ყველაფერს თანამიმდევრობით მივყვეთ...

— მსოფლიოში ყველაზე ცნობილი გერმანელი ქალის როლი საამო სიზმარია თუ კოშმარი?

— უეჭველია, საამო სიზმრის შეგრძნება არა მაქვს. დიდება როგორღაც მეორე კანია, რომელსაც სიამოვნებით მოვიშორებდი თავიდან. ყველა შემთხვევაში საკუთარ თავს ისე არ ვხედავ, როგორც ბევრი სხვა მიყურებს, როგორც „ვარსკვლავს" ან იდოლს. მე უბრალოდ მსურს ვიყო ბედნიერი და ვიცხოვრო სავსებით ნორმალური ცხოვრებით.

— ცნობილია, რომ გიყვართ კინოში სიარული.

— მე ფილმს ყოველთვის ვუცქერი არა უბრალო კმაყოფილებისათვის, არამედ რაღაც უცნაური ხელოსნური ინტერესით: მუდამ თითქოს ნემსებზე ვწევარ და ჩემს თავს ვეუბნები — ამ სცენას სხვაგვარად გადავიღებდი, ამ დიალოგს უფრო მივუახლოვებდი სიმართლეს, იქ კი უკეთესი იქნებოდა სხვა განათების დაყენება.

— ახლა თქვენ ლაპარაკობთ, როგორც სრულყოფისაკენ მსწრაფი პიროვნება.

— რითაა ეს ცუდი? მე მართლაც მინდა გავაკეთო ყველაფერი იმდენად კარგად, რამდენადაც შემიძლია. საჩოგბურთო მოედანზეც და ცხოვრებაშიც. ასევე იყო ბავშვობაშიც და სკოლაშიც. მე არასოდეს არაფერს მაძალებდნენ.

— თქვენ გიყვართ მარტოობა?

— დიახ, სიამოვნებით ვრჩები მარტო. მხოლოდ მარტოობაში შეგიძლია მოისმინო საკუთარი ხმა, რომელიც ჩვეულებრივ საერთო ხმაურში იკარგება.

— სპორტული მიმომხილველები ამბობენ, რომ წარმატებებიც კი არ განიჭებენ განსაკუთრებულ სიხარულს.

— მე მაყურებელს ვჩუქნი ყველაფერს, რაც მაბადია. მაგრამ ჩემს თავსაც ხომ უნდა ვეკუთვნოდე? ყოველთვის მეუბნებიან: გაიღიმე და ხელი დაუქნიე ხალხს, მაგრამ ფეხბურთელისაგან ხომ არავინ მოითხოვს, რომ იცინოდეს 11-მეტრიანი საჯარიმოს ნიშნულთან.

— როგორ ატარებთ დროს სასტუმროში?

— თუ მეგობრებთან ერთად ვარ, ბევრს ვთამაშობ — ბანქოს. ძალაუნებურად კროსვორდების ამოხსნის ოსტატი გავხდი. როცა ნომერში მარტო ვიმყოფები, ვამჯობინებ წიგნის წაკითხვას ან მუსიკის მოსმენას. ბოლო დროს ყველგან მიმაქვს თან გადასატანი ფირფიტსაკრავი კომპაქტური დისკოებითურთ.

— იყო თუ არა ისეთი მომენტი, როცა სასტუმრო საპყრობილედ მიგაჩნდათ?

— სასტუმროში ყოველთვის მტანჯავს ის, რომ თვითონ არ შემიძლია საჭმელის დამზადება. საპყრობილედ კი ჩემი ნომერი მხოლოდ ერთხელ იქცა: პარიზში ყოფნისას ავად გავხდი და ოთახიდან ვერ გავედი, ამ დროს კი მიმდინარეობდა პოპ-მუსიკის კონცერტი, რომელზეც ბილეთები მქონდა.

— თქვენი სიმდიდრის შემხედვარე, მომჭირნე ხართ თუ ხელგაშლილი?

— მომჭირნე. ყოველთვის ასე ვიყავი, აღზრდის გამო. პარიზში მინდოდა მეყიდა სამი კომპაქტური დისკო, მაგრამ ფასს შევხედე და თვალებს არ დავუჯერე: ერთში უნდა გადამეხადა 60 მარკა! გერმანიაში ასეთი დისკო მხოლოდ 24 მარკა ღირს. მაგრამ ამავე დროს ცნობისმოყვარეც გახლავართ და ამიტომ ისინი მაინც შევიძინე.

— იცნობით თუ არა იმ ქალაქებს, რომლებშიც ჩოგბურთის წყალობით ჩადიხართ?

— ყოველთვის. უპირატესად — მუზეუმებს. მე ჩემს თავს ვეუბნები, „შტეფანი, ეს აბსოლუტურად აუცილებელია", და აი ჯილდოც. მე არასოდეს მიმიღია ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება, როგორიც ციურიხში დალის გამოფენამ მომანიჭა. ვფიქრობ, დალი ჩემი საყვარელი მხატვარია.

— არის თუ არა მსოფლიოში რაიმე, რაც ძალზე გაღელვებთ?

— რასაკვირველია. უბრალოდ არ ძალმიძს გავიგო, ჩვენ საზოგადოების ასეთი სიმდიდრის პირობებში, თუ რატომ არიან ღარიბები და მარტოხელები. ღარიბები ვნახე ლონდონში, ვიხილე, თუ როგორ იწვნენ ტოკიოს თოვლიან ქუჩებში ადამიანები ფანერებზე. გაზეთებიდან ვგებულობთ, როგორ აგებენ ამერიკელები მილიარდობით დოლარის ღირებულების ბომბდამშენებსა და თვითმფრინავებს. ასეთი სიმდიდრით რატომ არ უნდა უზრუნველვყოთ ყველასათვის საამური ცხოვრება?

— არასოდეს არ გიფიქრიათ, რომ თვითონ დაეხმაროთ ღარიბ ადამიანებს?

— ამაზე მუდამ ვფიქრობ. სხვაგვარად ვერც შევძლებდი ჩოგბურთის თამაშს და წარმატების შემთხვევაში ამ ფულის ჩეკების მიღებას. მე ვცდილობ ფულადი დახმარება გავუწიოთ მათ, დრო რომ მქონდეს, თავადაც შევაშველებდი ხელს.

— ხომ ვერ გვეტყვით, ყველაზე მეტად რომელი „ვარსკვლავი" მოგწონთ?

— როგორც მამაკაცი? სავსებით განსაკუთრებულად მიმაჩნია ალენ დელონი: პარიზში მან მოულოდნელად მინახულა რესტორანში, სადაც ვიმყოფებოდი, და ტურნირში წარმატება მისურვა. ეს იყო ფანტასტიკური შეხვედრა. იგი უკვე თითქმის 55 წლისაა, მაგრამ ამაზე არაფერი მეტყველებს, იმდენად ახალგაზრდულად და სიცოცხლით აღსავსედ გამოიყურება იგი.

კარატე ქართულად

22 დეკემბერს, თბილისის არმიის სპორტულმა კლუბმა უმასპინძლა კარატეში ქალაქის მეორე ჩემპიონატს 1972-73 და 1974-75 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ასპარეზობაში სპორტული კლუბებისა და სტილური ფედერაციების გუნდები მონაწილეობდნენ.

დილით წინასწარი შეხვედრები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა 112 ჭაბუკი. შესარჩევი ტურნირის დამთავრების შემდეგ, გაირკვა იმ სპორტსმენთა ვინაობა, რომლებმაც დღის მეორე ნახევარში საპრიზო ადგილებისათვის განაგრძეს ბრძოლა. ფინალური შეხვედრების დაწყებამდე გაიმართა ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. შესრულდა ეროვნული ჰიმნი „დიდება", აღიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა. შემდეგ შედგა საჩვენებელი გამოსვლები, რომელშიც პატარა კარატისტები მონაწილეობდნენ.

დაძაბული და საინტერესო იყო ფინალური ასპარეზობა. ყველა ორთაბრძოლა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა, თუმცა ზოგჯერ მსაჯთა შეცდომებს ჰქონდა ადგილი, რაც რამდენჯერმე მცირე კონფლიქტის მიზეზიც გახდა. როგორც შეჯიბრებაზე დამსწრე სპეციალისტებმა აღნიშნეს, ტურნირი უკეთესად იყო ორგანიზებული, ვიდრე ჩემპიონატი. ჩემპიონის სახელი მოიპოვეს 1974-75 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის: ა. ადოიანმა (50 კგ), ზ. ბუტეიშვილმა (55 კგ), თ. კუხიანიძემ (60 კგ), გ. გვიშიანმა (65 კგ), კ. ღვალაძემ (70 კგ), შ. შიუკაევმა, (75, კგ), ლ. მაღლაკელიძემ 75 კგ. ზევით). 1972-73 წლებში დაბადებულებმა: ზ. მაისურაძემ (55 კგ), მ. ჭუმბურიძემ (60 კგ), გ. ნიკოლეიშვილმა (65 კგ), ლ. რონიშვილმა (70 კგ), ს. ზაალიშვილმა (75 კგ). მ. ასათიანმა (80 კგ), გ. კოტორაშვილმა (80 კგ. ზევით).

ჩემპიონატის დასასრულს გამარჯვებულებს გადაეცათ შეჯიბრების ორგანიზატორის — სპორტული კლუბ „ჯიქის" დაწესებული პრიზები.

„ჯიქი" 1989 წელს ჩამოყალიბდა. აერთიანებს დაახლოებით 300-მდე წევრს, — ძირითადად ბავშვებს. მისი მიზანია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღებისათვის ხელის შეწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ამ ბოლო დროს, ხშირად იმართება სხვადასხვა დონის ტურნირები კარატეში, სპორტის ამ სახეობის მდგომარეობა სახარბიელო არაა, რის მთავარ მიზეზადაც სპეციალისტები ინვენტარის უქონლობას, მაღალკვალიფიციური მსაჯებისა და მწვრთნელების ნაკლებობას, საქართველოს კარატეს ფედერაციის უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობას ასახელებენ.

სპორტული კლუბი „ჯიქი", ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად ცდილობს მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს უცხოეთის ქვეყნებთან. მას უკვე აქვს ახლო ურთიერთობა ფინეთის, ესპანეთის და ისრაელის სპორტულ კლუბებთან. აშშ-ში ყოფნის დროს, კლუბის საბჭოს წევრმა ლევან შენგელიამ გაავრცელა წერილები, რომლითაც ისინი თანამშრომლობას სთავაზობდნენ კარატეს ამერიკულ კლუბებს. და აი, თბილისში სტუმრად მყოფმა ამერიკულმა ფირმა „მეიხებ ტრეიდ კორპორეიშნის" პრეზიდენტმა, რალფ ვაისმანმა და ვიცე-პრეზიდენტმა იუჯინ ვიდრევიჩმა ჩამოიტანეს აშშ-ს ტაეკვანდოს ასოციაციის პრეზიდენტის, დანის მფლობელის ტაე სან კანგის წერილი, სადაც იგი კლუბს უსასყიდლო დახმარებას აღუთქვამს. მოაწოდებს მათ ინვენტარს, ლიტერატურას, მწვრთნელებსა და მსაჯებს ამერიკაში მიიწვევს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. უახლოესი მომავლისათვის დაგეგმილია ტაე სან კანგის ჩამოსვლა თბილისში. იგი ლექციებს წაიკითხავს სპეციალისტებისათვის.

ტურნირის სტუმრებმა — ამერიკელმა ბიზნესმენებმა დააწესეს პრიზი — ფოტოაპარატი, ყველაზე პერსპექტიული ბავშვისათვის, იგი ასპარეზობის ყველაზე პატარა მონაწილეს — 11 წლის გია ადამიას გადაეცა.

როგორც „ჯიქის" პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ მითხრა, ახლო მომავალში დაგეგმილია საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება ჭაბუკებს შორის.

კოკა ურუშაძე

T. KANG TAEKWONDO USA

ვინ შეხვდება მაიას?

როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ასპარეზობა ბორჯომში საკმაოდ მოულოდნელად დამთავრდა ორი ახალგაზრდა დიდოსტატის — ალისა მარიჩისა (იუგოსლავია), და სიუე ჟუნის (ჩინეთი) გამარჯვებით. საკითხი, ვინ უნდა შეხვდეს 1991 წლის შემოდგომაზე მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს, ჯერჯერობით გადაუჭრელი დარჩა.

იმასთან დაკავშირებით, რომ სიუე ჟუნი და ჩინეთის საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელები ნოემბერ-დეკემბერში იუგოსლავიაში, ნოვი-სადში იმყოფებოდნენ, სადაც საერთაშორისო ოლიმპიადა მიმდინარეობდა, იუგოსლაველებმა მათ რამდენიმე წინადადება მისცეს. ჯერ ჩინელებს შესთავაზეს სიუე ჟუნისა და ალისა მარიჩის დამატებითი მატჩის ნოვი-სადში მოწყობა, რაც უარყოფილი იქნა. შემდეგ წამოაყენეს იდეა ამ შეხვედრის ბელგრადში მოწყობის შესახებ, მაგრამ ისევ უშედეგოდ.

ამ დღეებში მოლაპარაკება მაინც დამთავრდა. გადაწყდა, ბრძოლა დაიწყოს 2 თებერვალს. ამასთან, მატჩის პირველი 4 პარტია (მატჩის პირველი ნახევარი) ბელგრადში გაიმართება, შემდეგ კი მეტოქეები ჩინეთში გაემგზავრებიან და პეკინში დაასრულებენ მატჩს. მატჩის საპრიზო ფონდია 15 ათასი შვეიცარული ფრანკი. ცნობილია ისიც, რომ მარიჩს მატჩისათვის იუგოსლავიის უძლიერესი დიდოსტატი ლიუბომირ ლიუბოევიჩი მოამზადებს. თუ ვინ დაეხმარება ჩინელ მოჭადრაკეს, ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

რა თქმა უნდა, გარკვეულ ინტერესს იწვევს ის ამბავიც, თუ როგორ თამაშობდა ორივე პრეტენდენტი ბორჯომის ასპარეზობის მომდევნო პერიოდში. ამ ხნის განმავლობაში ისინი მხოლოდ ნოვი-სადის ოლიმპიადაზე მონაწილეობდნენ. აქ სიუე ჟუნმა, რომელიც ჩინეთის გუნდს ხელმძღვანელობდა, შეიძლება ითქვას, დიდ წარმატებას მიაღწია. მან პირველ დაფაზე შეუსვენებლად ყველა, თოთხმეტივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 11 ქულა მოაგროვა (შესაძლებლის 78,5 პროცენტი). ეს დაფაზე მესამე შედეგი იყო უნგრელ ჟუჟა პოლგარისა (11,5 ქულა 14-დან) და არგენტინელ ამურას (8 ქულა 10 თამაშიდან) მაჩვენებლების შემდეგ. ჩინებულად ითამაშა ჩინეთის გუნდმაც, რომელიც ოლიმპიადების ისტორიაში პირველად, ფრიად საპატიო მესამე ადგილზე გამოვიდა. ალისა მარიჩის შედეგი ჩინელ დიდოსტატისაზე გაცილებით უარესია. მან 13 პარტია ითამაშა (მხოლოდ ერთხელ დაისვენა) და 7 ქულა მოაგროვა. მარიჩისა და სიუე ჟუნის პირადი პარტია ყაიმით დამთავრდა. რა თქმა უნდა, მომავალი მეტოქეების შედეგები ოლიმპიადაზე არ იძლევა კატეგორიული დასკვნის გამოტანის საშუალებას, მაგრამ გასათვალისწინებელი მაინც არის.

როგორც კი მაია ჩიბურდანიძის ერთადერთი მეტოქე გამოვლინდება, დებულების თანახმად 6 თვის შემდეგ უნდა დაინიშნოს მატჩი მსოფლიო პირველობაზე 16 პარტიისაგან. იგი, სავარაუდოდ ოქტომბერში უნდა დაიწყოს.

გივი გამრეკელი.

ჯანი და ძალაუფლება

სპორტი და ფიზკულტურა ჯანმრთელობის საწინდარია, ხოლო ჯანსაღ სხეულში რომ ჯანსაღი სულია, ეს ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა იცოდნენ. როგორ მისდევენ ამ შეგონებას სახელმწიფოს მეთაურები და პოლიტიკოსები?

როგორც გაზეთი „არგუმენტი ი ფაკტი" იუწყება, ფინეთის პრეზიდენტი მ. კოივისტო (სიმაღლე 190 სანტიმეტრი) პირველხარისხოვანი ფრენბურთელია. საზღვარგარეთ ვიზიტების დროს მის რეზიდენციასთან მართავენ ფრენბურთის ბადეს, პრეზიდენტისა და მისი გუნდის სავარჯიშოდ. ამას გარდა, მ. კოივისტო ველოსპორტშიც მეცადინეობს. საერთოდ ფინეთის პარლამენტის წევრები აქტიურად ვარჯიშობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ამას აკეთებენ არა მარტო ფიზიკური ფორმის შენარჩუნებისათვის, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც: თურმე ფინელი ამომრჩეველი თვლის, რომ კარგი პოლიტიკოსი უბრალოდ მოვალეა კარგი სპორტსმენიც იყოს, ვინც სწრაფად დადის თხილამურებით, მისთვის უპრიანია მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადაჭრის მინდობაო.

როგორ ეკიდებიან სპორტს სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები? ჯორჯ ბუში, მაგალითად, კარგი ჩოგბურთელია. ფიდელ კასტრო კალათბურთითაა გატაცებული, ხოლო მექსიკის პრეზიდენტი კ. სალინასი შესანიშნავ შედეგებს უჩვენებს მარათონულ რბენაში. სპორტს ეწაფებიან აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ლიდერებიც. ისინი სამართლიანად თვლიან, რომ „დიდი პოლიტიკა" და „დიდი სპორტი" ერთმანეთთან არიან დაკავშირებული.

აკაკი

პოეტის საიუბილეოდ

სახჩერის რაიონის სოფელ სხვიტორში, მდინარე ჩიხურას პირას დამთავრდა აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის საიუბილეო გეგმით გათვალისწინებული, ორიგინალური არქიტექტურით ნაგები პოეტის სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო და საკონფერენციო დარბაზის მშენებლობა.

დარბაზებში უკვე დაიწყო საიუბილეო ექსპოზიციის მოწყობა.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორ დღეს გრძელდებოდა სამეცნიერო სესია, რომელიც დიდი მგოსნის 150-ე წლისთავს მიეძღვნა.

საიუბილეო სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პედაგოგები და სტუდენტები, რომელთაც საგულისხმო ნამუშევრები წარმოადგინეს. კერძოდ, სოციალური პრობლემატიკა აკაკის შემოქმედებაში, აკაკი და „ვეფხისტყაოსანი", პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობის სტილი, აკაკი და სოციალ-დემოკრატები და სხვა.

სტიქია

მიწისძვრა საქართველოში

24 დეკემბერს თბილისში 0 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით მოხდა დაახლოებით 2 ბალი ძალის მიწისძვრა. ასეთი სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგი სეისმურ შენობებში მცხოვრებთაგან ყველამ როდი იგრძნო.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" კორესპონდენტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ცენტრალური სეისმოლოგიური ობსერვატორიის „თბილისის" უფროსმა ავთანდილ ახალბედაშვილმა უთხრა, მიწისძვრის ეპიცენტრი გადიოდა თბილისიდან 35-40 კილომეტრზე მანგლისის რაიონში. აქ მიწისქვეშა ბიძგის ძალამ 3-4 ბალს მიაღწია.

სს „საქართველო"

გასწორება

ჩვენი გაზეთის 22 დეკემბრის ნომერში მეორე გვერდზე დაბეჭდილ წერილში „ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურების შემსწავლელი კომისიის ინფორმაციაში პირველი აბზაცის ბოლო წინადადება უნდა იკითხებოდეს: ხოლო აქტიურობას, რომელიც ჯერჯერობით კიდევ არის მიწის სიღრმეში, რესპუბლიკის რადიაციულ სამარხში გაიტანენ.

უქაღალდობის გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 27 დეკემბერს.

ტელევიზია

თბილისი

25 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 11.50 — მოსწავლეთა საშობაო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". ქართული მხატვრული ფილმი „უკვდავების თეთრი ვარდი". 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 16.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მესხური ღილინი". 17.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კლდეში ნაშენი სამყარო" 17.15 — მოსწავლეთათვის. „ქართული ხელოვნების საგანძურიდან". 17.45 — საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა (გამეორება). 18.30 — „მახუნჯიელ მეციტრუსეებთან". 19.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „საუნჯე". დავით გარეჯი, ნამარი გორა. 21.00 — „ვრემია". 21.50 — საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში: თბილისის „დინამო" — მოსკოვის „სტროიტელი". 22.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „პირველი ეროვნული". 22.45 — ხალხური შემოქმედება. „მღერის ანსამბლი „შარავანდი". 0.35 — ქრონიკა.

მეორე პროგრამა. 14.05 — დოკუმენტური ფილმი „სიხარული ჩემი". 15.10 — ფილმ-სპექტაკლი „მილიონერი ქალი". I და II ნაწილი. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე: მხატვრული ფილმი „პილიგრიმის კაპიტანი" (ქართულ ენაზე). 20.00 — მოამბე. 20.35 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უცხო ფრინველი". 21.00—24.00 — საქართველოს კომერციული ტელევიზიის პროგრამა (საცდელი გადაცემები).

მოსკოვი

25 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი". 8.30 — მხატვრული ტელეფილმი „შუამავალი", II სერია. 9.40 — „ეს იყო... იყო". 10.00 — მულტფილმი. 10.20 — „ო, ჯაზი!". 11.25 — ბავშვის საათი. 12.25 — კოლაჟი. 12.30, 18.30 და 21.00 — „ვრემია". 13.00 — მსოფლიო ჩემპიონატი [illegible]. 16.55 და 23.30 — ახალი ამბები. 17.10 — [illegible]. 17.35 — [illegible]. 17.45 — [illegible]. 19.00 — [illegible]. 20.05 — [illegible]. 21.00 — [illegible]. 21.50 — [illegible].

მეორე პროგრამა. 8.15 — „სამეცნიერო-პოპულარული ფილმი". 8.35 და 9.35 — [illegible] VII კლასი. 9.05 და 10.05 — ფრანგული ენა. 10.35 და 11.35 — [illegible] VIII კლასი. 11.05 — [illegible]. 13.10 — [illegible]. 13.40 — [illegible]. 14.50 — [illegible]. 17.00 — [illegible]. 18.30 — [illegible]. 19.00 — [illegible]. 19.30 — [illegible]. 20.00 — [illegible]. 21.50 — [illegible].

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible]

[illegible] ქ. № 29.

ინდექსი 66484.

საქართველოს რესპუბლიკა